

# საქართველოს უნივერსიტეტი



სემანტიკური ფრეიმის კონფიგურაციის განსაზღვრის პრობლემა

ავტორი: ანა ჩხეიძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ჩხეიძე

თბილისი

# მიმოხილვა

სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირება გულისხმობს ცალკეული ფაქტებისა და ცნებების საფუძველზე სამყაროს მოდელის ფორმირების მცდელობას. რეალური სამყაროს მოდელი უნდა ეფუძნებოდეს მონაცემთა - ფრეიმების ერთობლიობას.

ფრეიმი წარმოადგენს არა ერთ კონკრეტულ სიტუაციას, არამედ ერთი კლასისადმი განკუთვნილ სიტუაციათა ძირითადი მარკერების ერთობლიობას.

ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში შენახული მატერილიზებული, მონაცემთა მრავალრიცხოვანი სტურქტურა - ფრეიმი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს ხატს (ვიზუალური ხატის ფრეიმი), ესმის სიტყვა (სემანტიკური ფრეიმი), მსჯელობს, მოქმედებს (ფრეიმი-სცენარი), ანხორციელებს ნარაციას და ა.შ. "გაგების" პროცესს თან ახლავს მეხსიერებაში შესაბამისი ფრეიმის აქტივიზაცია.

სამყაროს შესახებ არსებული ცოდნა წარმოადგენს გარკვეულ უნივერსალურ ფრაგმენტთა ერთობას, რომლიდანაც ახალი ფრეიმების სისტემის ფორმირებაა შესაძლებელი. ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია და განახლებადია დროსა და სივრცეში. იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელია ადამიანის კონცეპტუალურ სფეროში შეღწევა. რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობები.

კონცეპტის სტრუქტურაციის საფუძვლის ობიექტურობა და კონცეპტის ენობრივ რეპრეზენტატორთა ორგანიზების პრინციპთა ეფექტურობა უზრუნველყოფს ფრეიმის "ვარგისიანობის დიაპაზონის" განსაზღვრის შესაძლებლობას. "ვარგისიანობის დიაპაზონში" იგულისხმება კონსტრუირებული ფრეიმის საზღვრების - ფრეიმის საწყისი და ტერმინალური ელემენტების იდენტიფიცრება. სწორედ აღნიშნული ელემენტები განსაზღვრავს "ცოდნის მოძრაობის" მიმართულებას ცოდნის ველში. ფრეიმის საწყისი და ტერმინალური ელემენტების ატრუქტურა არსებით გავლენას ახდენს ცოდნის ველის ფორმასა და შინაარსზე.

"ვარგისიანობის დიაპაზონის" ობიექტურობის მიღწევა შესაძლებელია ელემენტთა შერჩევის შემდეგი წესის გათვალისწინებით: ელემენტები უნდა შეესაბამებოდნენ რომელიმე ერთ სფეროს, ისინი აზრობრივად (შინაარსობრივად) უნდა იყვნენ

ერთმანეთთან დაკავშირებული. ფრეიმში ვლინდება ადამიანის მიერ სამყაროს ხედვის თავისებურება, აისახება, თუ რა რასთან არის დაკავშირებული, რა რისგან გამომდინარეობს, რა არის ადამიანისათის მნიშვნელოვანი და რა - არა, როგორ აფასებს იგი სხვა ადამიანებს, მოვლენებსა და სიტუაციებს.

ნაშრომში სემანტიკურ ფრეიმთა და სქემათა ერთიან სისტემაში ინტეგრირება განხორციელებულია კლასტერული ანალიზის მეშვეობით, რაც გულისხმობს კონსტრუქტთა ჩართვას კლასტერულ იერარქიულ "ხეში".

ცოდნა მეხსიერებაში წარმოადგენს არა ცალკეულ ფრაგმენტებს, არამედ გარკვეულ დაკავშირებულ სტრუქტურებს. ცოდნის რეპრეზენტაციაზე ორიენტირებული სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს მეხსიერების კონცეპტუალური ორგანიზაცია - ერთგვარი განმაზოგადებელი სტრუქტურა, რომლის ფრაგმენტებს შორის შეიძლება იყოს დროითი, სივრცითი, სიტუაციური, ასოციაციური, ფუნქციონალური და ა.შ. ტიპის კავშირი.

ერთმანეთთან კავშირში მყოფ სემანატიკურ ფრეიმებსა და სქემებს ძალუძთ ქმედების, მიზეზ-შედეგობირივი კავშირებისა და თვალსაზრისთა ცვლილებების ასახვა. მთლიანობის ცოდნის საფუძველზე, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ფუნქციონალური დამოკიდებულებები შეადგენს, ხდება სინამდვილის მოდელირება და ყალიბდება მონაცემთა ბაზა, რომელიც ამ დამოკიდებულებათა სასრულ ერთობლიობას წარმოადგენს.

სარწევი	
შესავალი	5
თავი 1 ფრეიმი	11
1.1. ფრეიმების თეორია როგორც ადამიანის აზროვნების მოდელირების კვლევის შე	დეგი 11
1.2. ფრეიმთა სისტემა როგორც ინტერპრეტაციათა ველი	15
1.3. კვლევის სემანტიკურ–კოგნიტური მიმართულება როგორც სემანტიკურ და	
კოგნიტურ პროცესთა სინთეზის შედეგი	22
თავი 2 ლექსიკურ–სემანტიკური და კონცეპტუალური სივრცეები	27
2.1. "დანაშაულის" კონცეპტის სტრუქტურაციისა და ერთეულთა ორგანიზების პრინ	ციპეზი 27
2.2."დანაშაულის" ლექსიკურ–სემანტიკური ველი თანამედროვე ინგლისურ ენაში	
2.3. "დანაშაულის" ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ ენაში	34
თავი 3 დანაშაულის ფორმეზი და "დანაშაულის" კონცეპტის ასოციაციური სივრცე	40
3.1. ფრაზეოლოგიური ველები თანამედროვე ინგლისურ ენაში	40
3.2. ფრეიმები თანამედროვე ინგლისურ ენაში	57
3.3. სასჯელის ფორმები და "სასჯელის" კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა	
ტრანსფორმაცია დროში	69
დასკვნა	97
გამოყენებული ლიტერატურა	114

## შესავალი

კოგნიტივიზმი წარმოადგენს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ადამიანი უნდა იქნეს შესწავლილი როგორც ინფორმაციის გადამამუშავებელი სისტემა. ამ სისტემაში იგულისხმება ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, შენახვა და მობილიზირება. ეს ქმედებები გამიზნულია გონივრულად ფორმულირებულ ამოცანათა რაციონალურ შესრულებაზე. რამდენადაც ეს ამოცანები უშუალოდ კავშირშია ენის გამოყენებასთან, სრულიად ბუნებრივია, რომ კოგნიტივიზმის ცენტრში აღმოჩნდა ენა. მეცნიერებაში ხშირია შემთხვევები, როცა ახალ კონცეფციაში გაისმის ერთ დროს უკვე გაჟღერებულ დებულებათა ექო. ეს déjà vu კოგნიტივიზმსაც ახასიათებს. მიიღო რა ტერმინმა "კოგნიციამ" ბირთვული ტერმინის სტატუსი, მიმართულება მაშინვე დაადანაშაულეს იმის "გადამღერებაში", რაც დიდ ხნის წინ იყო უკვე ცნობილი. კოგნიცია, შემეცნება და გონება უხსოვარი დროიდან იყო მსჯელოვის საგანი. თანამედროვე კოგნიტივისტები თავიანთი წინამორბედებისაგან განსახვავდებიან იმით, რომ კოგნიტივისტები მენტალური ტერმინებით ახასიათებენ მენტალურ მოვლენებს. ფაქტია, რომ იმის ძიება, თუ რა იწვევს ადამიანის გონებაში კონკრეტულ აზრებს, არ არის მხოლოდ კოგნიტივისტური "საქმიანობა". არსებობს მინმუმ კიდევ ორი მიდგომა: ზიჰევიორიზმი და ნეიროფსიქოლოგია. ბიჰევიორიზმი ცდილობს ახსნას ქცევა ისეთი ტერმინებით, როგორიცაა: უნარ–ჩვევები, სტიმულები და რეაქციები. ნეიროფსიქოლოგია კი ახსნას ნეირონულ პროცესებში ემებს. აღნიშნული მიდგომებისაგან განსხვავებით, კოგნიტივისტები ცდილობენ თავიანთ ჰიპოთეზათა ფორმულირებას მენტალური პროცესებისათვის რელევანტური ტერმინების მეშვეობით. კოგნიტური მეცნიერება როგორც ადამიანური კოგნიციის კვლევის პროექტი აქტუალური და მნიშვნელოვანია, თუმცა მის მიმართ მუდმივად გაისმოდა შენიშვნები: ა. კოგნიტივისტიკა "მნიშვნელობის" პრობლემებიდან "ინფორმაციის" პრობლემაზე გადაერთო. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ "მნიშვნელობა" და "ინფორმაცია" აბსოლუტურად სხადასხვა რამაა. მნიშვნელობა გააჩნია არაინფორმატიულ შეტყობინებასაც კი. იმ სისტემისათვის, რომელიც ამუშავებს ინფორმაციას, სრულებით უმნიშვნელოა, შექსპირის სონეტს ამუშავებს იგი, თუ რიცხვთა მატრიცას. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ შეტყობინება იყოს ინფორმატიული. შეტყობინება კი ინფორმატიულია იმ შემთხვევაში, თუ იგი კონტრასტირებს ალტერნატიულ ნიშანთა ფონზე, სხვა სიტყვებით, თავსდება წინასწარ შედგენილ კოდში;

ბ. არ შეიძლება ყველაფერი ადამიანურის წმინდა ინფორმაციამდე დაყვანა, რამდენადაც ადამიანის ინტელექტის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს ნება. ინტელექტი = კოგნიციას + ნება. მანიპულირებს რა მხოლოდ სიმბოლოებით, კოგნიტური მეცნიერება უგულებელყოფს ინტენციას, ნებას; გ. სიმბოლოთა სინტაქტიკა ვერ ასახავს ადეკვატურად ადამიანის მენტალობას: ადამიანები აზროვნებენ სემანტიკური "არსით", "ღირებულებებით". დროთა განმავლობაში კოგნიტივისტებმა აღმოფხვრეს ხარვეზები და არაკოგნიტივისტთა პრეტენზიებსაც გამოეცალა საფუძველი. თუმცა კოგნიტურ ლინგვისტიკაში დღემდე არსებობს დისკუსიურ საკითხთა წყება, რომელიც უკავშირდება ფრეიმის სტრუქტურაციის პრობლემას. სწორედ ამ პრობლემის აქტუალობა განსაზღვრავს კვლევის აქტუალობას.

# ნაშრომის აქტუალობა

კვლევის აქტუალობის განმსაზღვრელ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შემდეგი ფაქტი: ენაში ადამიანის რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზის სიღრმე და სისრულე უნდა გულისხმობდეს კვლევის აქსიოლოგიურ ასპექტს, რომლის მიხედვითაც დგინდება იმ ღირებულებათა ნუსხა, რომელსაც აღიარებს ადამიანი და საზოგადოება კონკრეტულ დროსა და სივრცეში. საფიქრებელია, რომ სწორედ აქსიოლოგიური ასპექტი უნდა წარმოადგენდეს ანთროპოცენტრისტული პრინციპის შემდგომი განვითარების კანონზომიერ გზას. სამწუხაროდ, აქსიოლოგიური ფრაზეოლოგიუ ჯერაც არ ქცეულა ფრაზეოლოგიურ კვლევათა ვექტორად და, შესაბამისად, წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის ნაკლებად გამოკვლეულ სფეროს. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს "დანაშაულისა და სასჯელის" სემანტიკური ფრეიმის კონფიგურაციის განსაზაღვრა თანამედროვე ინგლისურ ენაში.

- 1. სპეციალური ლიტერატურის მოძიება და ანალიზი;
- 2. დანაშაულისა და სასჯელის თემატური სივრცისათვის რელევანტური ცნებების იდენტიფიცირება;
- 3. ცნებების ენობრივ ობიექტივატორთა განსაზღვრა;

- "დანაშაულისა და სასჯელის" ფრაზეოლოგიურ ველთა კონსტრუირება თანამედროვე ინგლისურ ენაში;
- 5. "დანაშაულისა და სასჯელის" სემანტიკური ფრეიმის აგება თანამედროვე ინგლისურ ენაში;
- 6. ფრეიმის ანალიზის შედეგად კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა.
  - კვლევის ეტაპებს მიღმა იკვეთება ისეთი საკითხები, როგორიცაა:
- იმ მასშტაბური ელემენტების იდენტიფიცირება, რომლებიც შეადგენს კონკრეტული დროისა და სივრიცისათვის რელევანტური ფუძემდებლური პრინციპებისა და სამყაროს შესახებ არსებული წარმოდგენების კრებულს;
- 2. კონცეპტთა ანალიზი მათ სტრუქტურაში სხვადასხვა "ფენათა" არსებობა/არარსებობის თვალსაზრისით. ეს ფენებია:
  - ა. ძირითადი, აქტუალური ნიშნის ფენა, რომელშიც კონცეპტი აქტუალურია კონკრეტული ენისა და კულტურის ყველა მატარებლისათვის;
  - ბ. დამატებითი, "პასიური" ნიშნის ფენა, რომელმაც დაკარგა აქტუალობა და იქცა "ისტორიულ" ნიშნად;
  - გ. გაუცნობიერებელი შიდა ფორმის ფენა, რომელიც ენის მატარებლისათვის წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც ფიქსირდება მნიშვნელობათა დანარჩენი ფენები;
- 3. კონცეპტთა კლასიფიკაცია:
  - ა. უნიკალურ კონცეპტებად, რომლებიც დეტერმინირებულია კონკრეტული კულტურის თავისებურებით;
  - ბ. უნივერსალურ კონცეპტებად, რომლებიც მოკლებულია კულტურულ სპეციფიკას.
- 4. იმ პრინციპებისა და წარმოდგენების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია კონკრეტული ფრეიმის ადეკვატური ინტერპრეტაციისათვის;
- 5. იმ ცვლილებათა აღრიცხვა, რომლებიც, ჩვეულებრივ, იწვევს სამყაროს სურათის მოდიფიკაციასა და სამყაროს ფენომენის ადეკვატური ახსნისათვის საჭირო ახალ ეტალონთა დამკვიდრებას;
- ფრეიმის, როგორც სამყაროს შესახებ კონკრეტული ტრადიციის ფარგლებში არსებულ წარმოდგენათა ჯამის განხილვა;

- 7. იმ სივრცის მონიშვნა, რომელიც მოცავს "ემოციურ-შეფასებით", მოტივაციურ და ცნობიერების სხვა ასპექტებს და შედგება კონცეპტებისაგან;
- 8. ფრეიმის ანალიზი მისი სტატიკურობა/დინამიურობის, ღიაობა/დახშულობის თვალსაზრისით.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: სავარაუდოდ, ფრეიმის კონფიგურაციის თავისებურების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ფრეიმში ზოგადობის ხარისხის მიხედვით განსხვავებული კვანძების არსებობა. საფიქრებელია, რომ კონკრეტული სიტუაციისათვის "სისწორე" არ წარმოადგენს ფრეიმის კონფიგურანტთა ვალიდურობის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს, ვინაიდან თუ კონფიგურანტი "არასწორია", იგი ვერც აღნოჩნდება ფრეიმის კონცეპტუალური ვალიდურობის დიაპაზონში. ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიის თავისებურებას განსაზღვრავს შემდეგი დებულების შინაარსი: თეორიული ცოდნის არსს წარმოადგენს მრავალფეროვანი ფაქტებისა და კანონზომიერებების არა მხოლოდ აღწერასა და ახსნას, არამედ სამყაროს ჰარმონიის გამოვლენას. სწორედ ამიტომ წარმოადგენს მეცნიერული კვლევის ძირითად

მიზანს იმ თეორიის აგება, რომელიც პასუხობს კვლევის ფარგლებში გამოკვეთილ

- ა. ანალიზს, კლასიფიკაციას, სისტემატიზაციას, სინთეზირებას;
- ბ. ინტერპრეტაციას, გააზრებას, ახსნას;
- გ. პროგნოზირებას.

მოთხოვნებს:

ნაშრომში განხორციელებული კვლევა შედგება:

- ა. პროექტირების ფაზისაგან, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მოდელის კონფიგურაციის განსაზღვა;
- ბ. რეფლექსური ფაზისაგან, რომელიც შედეგსაც წარმოადგენს კონსტრუირებული მოდელის შეფასება მოდელის კორექტირების საჭიროების განსაზღვრა. ნაშრომში გამოყენებულია ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის ტიპური მეთოდოლოგიური მიდგომები:
  - 1. პლურალისტური მიდგომა უარს ამბობს სამყაროს მხოლოდ ერთი პერსპქტივიდან ხედვაზე და გულისხმობს ფენომენის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევას;
  - ირაციონალური მიდგომა უგულებელყოფს დისკრეტულობასა და სტატიკურობას,
     შესაბამისად, გულისხმობს სამყაროს კვლევას კონტინუალურ და დინამიურ ასპექტებში.
    - ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს საკვლევი ფენომენისადმი:

- 1. სისტემურ მიდგომას;
- 2. ინტერპარადიგმულ მიდგომას;
- 3. მაპროექტირებელ მეთოდს, რომელიც განსაზღვრავს კვლევის ეტაპებს;
- 4. ანალიზის ზოგადმეცნიერულ ფორმებს: ანალიზს, სინთეზს, ანალოგიზაციას, კონტრასტირებასა და მოდელირებას.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდები შემუშავებულია ენისადმი იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში "დანაშაულისა და სასჯელის" კონცეპტუალური სფეროს კონფიგურაციის განსაზღვრა. ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას განსაზღვრავს მომიებული მასალისა და კვლევის შედეგების ვალიდურობა როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და სტრუქტურული ლინგვისტიკისათვის, ისე ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის. ნაშრომის თეორიული ღირებულების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სამ მირითად ასპექტს:

- 1. ინტერპარადიგმული მეთოდოლოგია, რომელიც ცენტრირებულია როგორც სტრუქტურულ, ისე კოგნიტურ ლინგვისტიკაზე;
- 2. ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია, ანუ ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა ერთდროულად ისეთ დისციპლინათა მონაცემებს, როგორებიცაა ლინგვისტიკა და კულტუროლოგია, მაგრამ, ამავე დროს, კვლევა ლინგვისტურად ცენტრირებულია, რაც ნიშნავს შემდეგს: საკვლევ პრობლემათა აქტუალობა ეფუძნება იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკიდან;
- 3. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება არა მხოლოდ ლინგვისტურად ცენტრირებულ ინტერდისციპლინარიზმს, არამედ კვლევის იმ პრინციპსაც, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული აზროვნების ნებისმიერი სფეროსათვის, ანუ ეფუძნება პარადიგმული სინთეზის პრინციპს. ამ პრინციპით იგულისხმება, რომ ჰუმანიტარული აზროვნების ნებისმიერი ახალი და დომინანტური პარადიგმა კი არ აუქმებს წინა პარადიგმათა ფარგლებში არსებულ კვლევით შედეგებს, არამედ ახორციელებს ამ შედეგთა ახლებურ ხედვას.

გარდა მეთოდოლოგიის იმ ასპექტისა, რომელიც ატარებს ერთდროულად როგორც ლინგვისტურ, ისე ზოგადჰუმანიტარულ ხასიათს, კვლევაში გამოყენებულია ცნებათა და მეთოდთა ის ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება საკუთრივ ლინგვისტური

აზროვნების განვითარების თანამედროვე ეტაპებს. მთლიანობაში მეთოდოლოგია ეყრდნობა ყველა იმ განზომილებას, რომელთა მნიშვნელობაც და აუცილებლობაც დასტურდება მთელი კვლევის პროცესში. სწორედ სხვადასხვა განზომილებათა სინთეზი განსაზღვრავს ნაშრომის თეორიულ ღირებულებას.

კვლევის მასალა მოპოვებულია ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონებიდან, ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელიდან.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I. ფრეიმი - ადამიანის მეხსიერეზის ორგანიზაციის კონცეპტუალური მოდელი
1.1 ფრეიმების თეორია როგორც ადამიანის აზროვნების მოდელირების კვლევის
შედეგი

მარვინ მინსკის ფრეიმების თეორია წარმოადგენს ადამიანის აზროვნების მოდელირების სფეროში ხანგრძლივი კვლევების შედეგს. ფრეიმი ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალური მოდელია. იგი განიხილება სტერეოტიპული აღქმის წარმოდგენისათვის საჭირო აბსტრაქტულ სახედ (Minsky/მინსკი, 1993).

ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ცნოზილია აზსტრაქტული სახის ცნება. მაგ. სიტყვის "ოთახის" ხმამაღლა წარმოთქმა მსმენელებში წარმოქმნის ოთახის სახეს: "საცხოვრებელი ადგილი ოთხი კედლით, იატაკით, ჭერით, ფანჯრებითა და კარით". ამ აღწერიდან არაფრის გამოტოვება არ შეიძლება (მაგალითად, თუ არ ვახსენებთ ფანჯარას, მაშინ ეს იქნება საკუჭნაო და არა ოთახი), მაგრამ მასში არის ე.წ. "ხვრელები" ანუ "სლოტები" - ეს არის ატრიბუტების შეუვსებელი მნიშვნელობები – მაგალითად, ფანჯრების რაოდენობა, კედლების ფერი, ჭერის სიმაღლე, იატაკის საფარი და ა.შ. ფრეიმების თეორიაში ოთახის ასეთ სახეს ოთახის ფრეიმი ეწოდება (Reed / რიდი, 1996)

განასხვავებენ ფრეიმ-პროტოტიპებს, რომლებიც ინახება ცოდნის ბაზაში და ფრეიმეგზემპლარებს, რომლებიც მოწოდებული მონაცემების საფუძველზე რეალური, ფაქტიური სიტუაციების ასახვისთვის იქმნება (Russell / რასელი, 1948). ფრეიმის მოდელი უნივერსალურია (Croft & Cruse / კროფტი & კრუზი, 2004). იგი იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მთელი ცოდნის მრავალფეროვნების გამოსახვის შესაძლებლობას რამდენიმე საშუალებით:

- ფრეიმები სტრუქტურები გამოიყენება ობიექტების და ცნებების აღსანიშნავად
   (მაგ. გირაო, სესხი, ვექსილი);
- 2. ფრეიმები როლები (მენეჯერი, მოლარე, კლიენტი);
- 3. ფრეიმები სცენარები (მაგ. აქციონერთა შეკრება, ვიზიტი რესტორანში);
- 4. ფრეიმები სიტუაციები (განგაში, ავარია, მოწყობილობის სამუშაო რეჟიმი). განვიხილოთ ფრეიმ–სცენარის მაგალითი ცნებისათვის "კომერცია". დავუშვათ, გვაქვს ორი ფრეიმი:
- $1.\ A$  კომპანიას აქვს X პროდუქტი, B კომპანიას Y ფული.
- 2. B კომპანიას სჭირდება X პროდუქტი, A კომპანიას -Y ფული.

კომერციული სტრატეგიის აღწერისათვის საჭიროა სცენარში ორი ფრეიმით ვაჭრობის ძირითადი წესების ასახვა, ე. ი. იმისათვის, რომ A კომპანიამ დააინტერესოს B კომპანია (იყიდოს რაც შეიძლება მეტი X პროდუქტი ან გადაიხადოს მეტი Y ფული), მან უნდა გამოიყენოს შემდეგი ტაქტიკა:

- ა. შესთავაზოს მეტი  $\mathbf X$  პროდუქტი გადახდილ თანხაში;
- ბ. აუხსნას მყიდველს X პროდუქტის სარგებლობა;
- გ. რეკლამა გაუწიოს თავის პროდუქტს;
- დ. აფიქრებინოს B კომპანიას, რომ მისი პროდუქტით სხვა კომპანიებიც არიან დაინტერესებულები და ა. შ.

სლოტის მნიშვნელობის სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა ფრეიმი, ასე იქმნება ფრეიმების ქსელი (Simmons/სიმონსი, 1973).

ფრეიმების უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს თვისებების მემკვიდრეობითობა. ფრეიმებში მემკვიდრეობითობა ხორციელდება AKO კავშირებით (A-Kind-Of). სლოტი AKO მიუთითებს იერარქიულად უფრო მაღალ დონეზე მდგომ ფრეიმზე.

შესაძლებელია ცოდნის კლასიფიკაცია შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

- ა. ზედაპირული ცოდნა ცოდნა საგნობრივ სფეროში ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის არსებულ თვალსაჩინო ურთიერთკავშირებზე; (ზედაპირული ცოდნა "თუ გტკივათ თავი, უნდა მიიღოთ ტკივილგამაყუჩებელი");
- ბ. ღრმა ცოდნა მოცემულ საგნობრივ სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველი აბსტრაქციები, ანალოგიები და სქემები. ასეთი ცოდნა ხსნის ამა თუ იმ მოვლენას და მისი გამოყენება შეიძლება ობიექტების ქცევის პროგნოზირებისათვის (ღრმა ცოდნა ექიმის ცოდნა თავის ტკივილის მიზეზებზე, თავის ტკივილის სახეებზე და მათი მკურნალობის მეთოდებზე). მარვინ მინსკის ფრეიმების თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საკითხი ცოდნის წარმოდგენის პრობლემაა (Minsky/მინსკი, 1972) აღნიშნული პრობლემის გადაჭრის სირთულე აიხსნება აზროვნების მექანიზმთა შესახებ არსებული ცოდნის სიმწირით.

სამყაროს მოდელში ინტეგრირებულ ცნებათა შორის არსებული მიმართებები გარე სამყაროს პრაგმატიკითაა აღბეჭდილი რ. შენკის "სემანტიკური დამოკიდებულების" (conceptual dependency) (შენკი 1972), ჯ. უილკსის "პრეფერენციული სემანტიკის" და ჩ. რიგერის "სემანტიკურ ზედდებათა" (conceptual overlays) თეორიები (Wilks /ვილკსი, 1973). (Rieger /რიგერი, 1975).

და მაინც, უკანასკნელ წლებში შექმნილ ნაშრომთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მ. მინსკის "ფრეიმების თეორია" აღმოჩნდა - მან მიიქცია ხელოვნური ინტელექტის სფეროში მომუშავე მკვლევართა ყურადღება: რ. შენკი , რ. აბელსონი, ჯ. მაილოპულოსი, პ. კოენი, ა. ბორჯიდა, ლ. შუგარი და სხვა.

თავის თეორიაში მ. მინსკიმ უარი თქვა სამყაროს მოდელის ცალკეული ფაქტებისა და ცნებების საფუძველზე ფორმირების მცდელობაზე. მისი თვალსაზრისით, რეალური სამყაროს მოდელი უნდა ეფუძნებოდეს მონაცემთა - ფრეიმების ერთობლიობას. მეცნიერი ფრეიმს განსაზღვრავს როგორც სტერეოტიპული (ხშირად განმეორებადი) სიტუაციის მოდელს. აქ სიტუაცია განიმარტება განზოგადებული მნიშვნელობით - სიტუაცია, შესაძლოა, იყოს ქმედება, მსჯელობა, ვიზუალური ხატი, თხრობა და ა.შ. ფრეიმი წარმოადგენს არა ერთ კონკრეტულ სიტუაციას, არამედ ერთი კლასისადმი განკუთვნილ სიტუაციათა ძირითად მახასიათებელთა ერთობლიობას. ინგლისურ ენაზე "frame" ნიშვანს ჩონჩხს, ჩარჩოს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ფრეიმში წარმოდგენილ, მოდელირებადი ფენომენის შესახებ არსებულ მონაცემთა ერთობაზე (Negnevitsky/ნიგნევიცკი, 2005).

გრაფიკულად ფრეიმის გამოსახვა შესაძლებელია ქსელის სახით, რომელიც შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან. ყოველი კვანძი წარმოადგენს გარკვეულ ცნებას, რომელიც შეიძლება იყოს და არც იყოს წარმოდგენილი ნათლად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი შესაძლოა, დაკონკრეტდეს მოცემული ფრეიმის რომელიმე კონკრეტულ სიტუაციასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით (Radden/რადენი, 1992). არაცხადი ფორმის მქონე კვანძებს ტერმინალები ეწოდება. ისინი ქმნიან გრაფიკული სტრუქტურის ქვედა დონეს, ხოლო ზედა დონეზე განლაგებულია ცნებები, რომელიც ყოველთვის რელევანტურია ფრეიმით წარმოდგენილი სიტუაციისათვის. ამრიგად, ნათლად წარმოდგენილ კვანძთა ერთობლიობა ქმნის ფრეიმით წარმოდგენილი სიტუაციის "გაგების" საფუძველს (Smith&Medin/ სმიტი&მედინი, 1981). "გაგება" ხორციელდება ტერმინალების კონკრეტიზაციის, ასევე ტერმინალთა რეალურ სამყაროში არსებულ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით. უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს სხვადასხვა ფრეიმის მიერ ერთი და იმავე ტერმინალების გამოყენება, რაც იძლევა სხვადასხვა წყაროდან მოძიებული ინფორმაციის კოორდინირების შესაძლებლობას (Schreiber, Akkermans, Anjewierden, Hoog, Shadbolt, Velde, Wielinga / შრაიბერი, აკერმანსი, ანჯევირდენი, ჰუგი, შადბოლტი, ველდე, ველინგა, 2000).

ერთმანეთთან კავშირში მყოფ ფრეიმთა ჯგუფები ერთიანდებიან სისტემაში, რომელთაც ძალუძთ ქმედების, მიზეზ-შედეგობირივი კავშირებისა და თვალსაზრისთა ცვლილებების ასახვა.

თავის თეორიაში მ. მინსკი მიიჩნევს, რომ ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში შენახული მატერიალიზებული, მონაცემთა მრავალრიცხოვანი სტურქტურა - ფრეიმი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს ხატს (ვიზუალური ხატის ფრეიმი), ესმის სიტყვა (სემანტიკური ფრეიმი), მსჯელობს, მოქმედებს (ფრეიმი-სცენარი), ანხორციელებს ნარაციას და ა.შ. "გაგების" პროცესს თან ახლავს მეხსიერებაში შესაბამისი ფრეიმის აქტივიზაცია და მისი ტერმინალების დაკავშირება მიმდინარე სიტუაციასთან (Minsky, Papert/მინსკი, პაპერტი, 1969). წარუმატებლობის შემთხვევაში, მეხსიერებიდან ინფორმაციის ძიების ქსელის მეშვეობით ხდება სხვა ფრეიმის შერჩევა, რომლის ტერმინალებიც, შესაძლოა, აღმოჩნდეს ერთმანეთთან შესაბამის ურთიერთობაში სიტუაციის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ფრეიმების თანმიმდევრული ჩანაცვლების პროცესი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ადამიანის აზროვნების ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბუნებრივი ენის გაგება, მსჯელობა, დასკვნის გამოტანა და ა.შ. (Rossi, Biehl, Angulo/როსი, ბიელი, ანგილო, 2008). ეს გამომდინარეობს ჩვენი ინტუიციური წარმოდგენიდან აზროვნების პროცესის შესახებ, რომელიც იწყება ხატებიდან, მიდის აზრებამდე; შემდეგ ნაკლებ კარგი აზრი იცვლება უკეთესით, მაგარამ მაინც არასრულყოფილი იდეით (Schiffer, Steel / შიფერი, სთილი, 1988).

უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნის წარმოდგენის პრობლემისადმი მინსკისეული მიდგომა არ არის უხარვეზო. კერძოდ, ადამიანს ესმის არა მხოლოდ ცნობილი, არამედ ახალი სიტუაციებიც, რომელთა მიმართაც ფრეიმს არ განუცდია ადაპტაცია.

ნებისმიერი ფრეიმი, მიუხედავად მისი თემატური განსაზღვულობისა, შედგება რამდენიმე ქვესეგემენტისაგან. ნებისმიერი ფრეიმი წარმოადგენს ურთიერთმოქმედი ელემენტების - ქვესეგმენტების - ერთობლიობას, რომელშიც იკვეთება:

- 1. ფუნქციური კავშირი თითოეული ქვესეგმენტი ერთიანი ფრეიმის ჩარჩოში რაიმე სახის ფუნქციას ასრულებს;
- 2. ინფორმაციული კავშირი ქვესეგმენტები ინფორმაციას ერთმანეთში ცვლიან;

3. გარე კავშირები - ზოგიერთი ქვესეგმენტი ურთიერთქმედებს გარე (სხვა თემატური განსაზღვრულობის მქონე ფრეიმთან).

ფრეიმის კონფიგურაციის ძირითადი მარკერებია:

ცვალებადობა - კონსტრუქტის არსებული მდგომარეობიდან რაიმე სასურველ მდგომარეობაში გადაყვანა;

კომპლექსურობა - სხვადასხვა ფაქტორთა არსებობა, რაც განაპირობებს სტრუქტურირების პერსპექტივათა მრავალფეროვნებას.

ნაშრომში ფრეიმები კონსტრუირებულია სპირალური მოდელის გამოყენებით, რომელიც გულისხმობს სივრცის ეტაპობრივ გაფართოებას და ძირითადად ეყრდნობა ანალიზსა და სინთეზს. სპირალის ყოველი ხვეული ფრეიმის ფრაგმენტთა ვერსიის შექმნას შეესაბამება.

#### 1.2 ფრეიმთა სისტემა როგორც ინტერპრეტაციათა ველი

რამდენადაც ფრეიმი შეიძლება წარმოვიდგინოთ ქსელის სახით, რომელიც შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან, ამდენად თითოეული კვანძი უნდა იყოს შევსებული თავისი "მისიით" - დავალებით, სხვა სიტყვებით, კონკრეტული სიტუაციის ტიპური მახასიათებლებით (Fillmore/ ფილიმორი, 1982. გვ. 111-137). ზოგადად ფრეიმებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე, ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში მყოფი დონე. ზედა დონის კვანძები თავისი ბუნებით ზოგადია - ისინი ყოველთვის "სწორია"-ტიპურია კონკრეტული სიტუაციისათვის. ეს კვანძები ყოველთვის შევსებულია "დავალებით". ფრეიმის ყველაზე მაღალი დონის კვანძი, ჩვეულებრივ, შევსებულია თავად სიტუაციის სახელწოდებით - ვიზუალური ხატის სახელწოდებით (Barsalou / ბარსალუ 1992).

ქვედა დონის კვანძები მეტწილად შეუვსებელია "დავალებით". ამ ტიპის ცარიელ კვანძებს ტერმინალები ეწოდება. ისინი უნდა შეივსოს კონკრეტული მონაცემებით, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ფრეიმის კონკრეტულ სიტუაციასთან ადაპტირების პროცესში გაჩენილ, შესაძლო დავალებას.

ფრეიმების ჯგუფი, შესაძლოა, გაერთიანდეს ფრეიმთა სისტემაში. ქმედებათა შედეგები აისახება სისტემის ფრეიმთა შორის არსებულ მიმართებათა ტრანსფორმაციით (Dunn, Cahill, Dukes, Ginsberg/დანი, კაჰილი, დუქსი, გინსბერგი, 1986).

ვიზუალური ხატის შემთხვევაში სისტემის სხვადასხვა ფრეიმი აღწერს სურათს დაკვირვების სხვადასხვა წერტილიდან, ხოლო ერთი ფრეიმის მეორე ფრეიმად ტრანსფორმაცია ასახავს ფენომენთა "გადაადგილების" შედეგს. სისტემის არავიზუალურმა ფრეიმებს შორის არსებულმა განსხვავებამ, შესაძლოა, ასახოს ქმედება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და თვალსაზრისის ცვლილება. სისტემის სხვადასხვა ფრეიმები იყენებს ერთი და იმავე ტერმინალებს. სწორედ აღნიშნული ფაქტი უზრუნველყოფს რეალური სამყაროს მოდელის შექმნას. ფრეიმული მიდგომის მახასიათებელს წარმოადგენს პროგნოზის, მოლოდინისა და ვარაუდის სხვადასხვა ტიპის გამოყენების შესაძლებლობა (Rieger/რიგერი, 1975).

ამდენად ფრეიმი მოიცავს მრავალ დეტალს, რომელთა არსებობა, შესაძლოა, არ დადასტურდეს მოცემული სიტუაციით. აღნიშნული ტიპის დეტალები "არამყარადაა" მიბმული ტერმინალებს, რაც იწვევს მათ ჩანაცვლებას კონკრეტული სიტუაციისათვის ბევრად ადეკვატური "დავალებებით" (Thagard/ტაგარდი, 1996)

სიტუაციის წარმოდგენისათვის ადეკვატური ფრეიმის შერჩევის შემდეგ ხდება ფრეიმის მისადაგება კონკრეტულ სიტუაციასთან, რაც გულისხმობს ფრეიმის ტერმინალებისათვის იმ "დავალებათა" განსაზღვრას, რომელიც შეესაბამება ტერმინალთა მარკერებს (Tomasello&Call / ტომასელო, & კოლი, 1997).

აღნიშნული პროცესი კონტროლირდება ნაწილობრივ ფრეიმთან დაკავშირებული ინფორმაციით (რომელიც იძლევა უჩვეულო სიტუაციების - "სიურპრიზების" არსებობის შემთხვევაში ქმედებათა გათვლის შესაძლებლობას), ნაწილობრივ კი - არსებულ მიზანთა ცოდნით (Toulmin / ტულმინი, 1972).

იმ შემთხვევაში, თუ არ ხერხდება შერჩეული ფრეიმის რეალობასთან მისადაგება, გამოიყენება ინფორმაციის ძიების ქსელი, რომლის მეშვეობითაც ხდება სისტემის ფრეიმთა ერთმანეთთან დაკავშირება. აღნიშნული ქსელი იძლევა ფაქტებისა და ანალოგიების შესახებ არსებული ცოდნის წარმოდგენის სხვა საშუალებათა იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს ფრეიმის რეალობასთან მისადაგებას (Wilensky/ვილინსკი, 1990)

მ. მინსკის მიერ ჩამოყალიბებული თეორია ფრეიმების მეშვეობით ცოდნის წარმოდგენის შესახებ პრეტენზიას აცხადებს ადამიანის აზროვნების თავისებურებათა ახსნაზე. ავტორის თვალსაზრისით, აღნიშნული თეორია კრავს და ერთიან კონცეფციად წარმოადგენს სხვადასხვა თეორიას. ფრეიმების თეორია აერთიანებს ფსიქოლოგიის,

ლინგვისტიკისა და ხელოვნური ინტელექტის მრავალ კლასიკურ და თანამედროვე თეორიას (Lederman & Scheppler J/ლედერმანი&შეპლერი, 2001).
ფრეიმების თეორიის მეშვეობით ხდება ხელოვნური ინტელექტის სფეროში განხორციელებულ კვლევათა შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადება, იგულისხმება ისეთ მკვლევართა ნაშრომები, როგორიცაა ა. ნიუელი და გ. სიმონსი ს. პეიპერტი .
თავის თეორიაში მინსკი არ მიჯნავს ერთმანეთისაგან თეორიებს ადამიანის აზროვნებისა და ხელოვნური ინტელექტის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ადამიანის აზროვნების პროცესი ეფუმნება მის მეხსიერებაში გარკვეული სახით მატერიალიზირებულ, ფრეიმების უზარმაზარ კომპლექტს, რომელის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს ვიზუალურ ხატებს (ვიზუალური ხატების ფრეიმები), ესმის სიტყვები (სემანტიკური ფრეიმები), ქმედებები (ფრეიმი - სცენარი), თხრობა (ფრეიმი - მოთხრობები) და ა.შ.
გაგების პროცესს თან ახლავს მეხსიერების არსენალიდან შესაბამისი ფრეიმების შერჩევა, რომელთა ტერმინალები უკვე შევსებულია დავალებებით და ადაპტირებულია

გაგების პროცესს თან ახლავს მეხსიერების არსენალიდან შესაბამისი ფრეიმების შერჩევა, რომელთა ტერმინალები უკვე შევსებულია დავალებებით და ადაპტირებულია კონკრეტულ სიტუაციასთან. ადაპტირების პროცესის წარუმატებლობის შემთხვევაში ძიების შედეგად ხდება კონკრეტული სიტუაციისათვის ადეკვატური ფრეიმის შერჩევა (McCarthy, Mitchell, Mueller, Riecken, Sloman & Winston /მაკარტი, მიშელი, მიულერი, რიკენი, სლომანი & ვინსტონი, 2007).

სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფრეიმების მეშვეობით წარმოდგენა ბუნებრივი ენის გაგების მექანიზმთა არსის გააზრების საკმაოდ ეფექტური საშუალებაა (Jackendoff /ჯაკენდოფი 1992).

სამყაროს შესახებ არსებული ცოდნა წარმოადგენს გარკვეულ უნივერსალურ ფრაგმენტთა ერთობას, რომლიდანაც ახალი ფრეიმების სისტემის ფორმირებაა შესაძლებელი. სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის "შენებას" მ. მინსკი გვთავაზობს ფრეიმ-სცენარების მეშვეობით. ფრეიმ-სცენარები წარმოადგენს რაიმე სახის ქცევის ან მოვლენის აღქმის ტიპურ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ქცევის ან მოვლენის სრულყოფილი გააზრებისათვის საჭირო ელემენტებს (Minsky /მინსკი, 1986).

საგანთა არსის გააზრებასთან დაკავშირებით ჩნდება შეკითხვები. აღსანიშნავია, რომ შეკითხვათა რაოდენობა, რომელიც უკავშირდება ფრეიმებს, შესაძლოა, ძალიან დიდი იყოს.

სხვადასხვა ადამიანს ერთიდაიმავე სიტუაციასთან მიმართებაში შეუძლია განსხვავებული რაოდენობის შეკითხვების დასმა. შეკითხვათა რაოდენობა და ხასიათი უმეტესად ამა თუ იმ ინდივიდის ცოდნის ბაზაზეა დამოკიდებული (Jackendoff/ ჯაკენდოფი, 2002. გვ. 53-67)

ცოდნის საჭირო ბაზის არსებობის შემთხვევაში სიტუაციის გასაგებად ჩვეულებრივ საკმარისია შეკითხვათა არც თუ ისე დიდი რაოდენობა. ეს ის პრინციპული გარემოებაა, რისი წყალობითაც გარკვეულ შეკითვებზე პასუხის მიღების შედეგად შესაძლებელია რეალურ სიტუაციათა უდიდესი ნაწილის აღქმა. ეს ფაქტი ადასტურებს ფრეიმების მეშვეობით სამყაროს შედარებით მარტივი მოდელების კონსტრუირების შესაძლებლობას. თითოეული ფრეიმი შეესატყვისება ერთ შესაძლო სიტუაციაზე დაფუძნებულ აზრს, რომელიც ფრეიმების სისტემას წარმოადგენს (Minsky/მინსკი, 1993).

სისტემის განსხვავებული კატეგორიის ფრეიმები საერთო ტერმინალებზე არსებულ ერთი და იმავე ინფორმაციის გამოყენების განსხვავებულ გზებს წარმოადგენს.

რ. შენკისა და რ. აბელსონის თვალსაზრისით, სცენარი წარმოადგენს ქმედების შედეგს, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ტიპური სიტუაციები აღწერს. ამ თანამიმდევრობაში გამოიყენება კაუზალური კავშირის პრინციპი, სხვა სიტყვებით, თითოეული ქმედების შედეგი ის პირობებია, რომელთა დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს შემდგომ ქმედებას.

ყოველ სცენარს გააჩნია როლის შემსრულებელი. არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაცია, რომელიც განსხვავებულ შემსრულებელთა აზრს ასახავს. ინტერპრეტაციები წარმოადგენს ფრეიმების სისტემას.

შესაძლო სიტუაციების გამომხატველი სცენარების რაოდენობა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში გვხდება, საკმაოდ დიდია.

ხშირია მოქმედებათა ჩვეულებრივი თანმიმდევრობის დარღვევის შემთხვევები. არსებობს დარღვევათა სამი სახეობა: პირველი - ეს არის გადახვევა, გადახრა, რომელიც წარმოადგენს ქმედებათა თანამიმდევრობის სცენარის სხვა სცენარით გაწყვეტას; დანარჩენი ორი შემთხვევა კი წინაღობად ან შეცდომად განიხილება. დაბრკოლება ჩნდება მაშინ, როდესაც ვინმე ან რაიმე ხელს უშლის მოქმედებას ან არ არსებობს ამა თუ იმ ქმედების შესასრულებლად აუცილებელი და საკმარისი პირობა. შეცდომა ჩნდება მაშინ, როდესაც ქმედება არ სრულდება ისე, როგორც საჭიროა. პრინციპში, თითოეული ელემენტარული ქმედების სცენარის შემდგომ შესაძლოა, გაჩნდნდეს წინაღობები და შეცდომები, ამიტომაც სცენარში რთავენ ისეთ შეკითხვას,

როგორიცაა: "რა მოხდება, თუ ...?" შეკითვაზე პასუხის მიღების შემთხვევაში სცენარში

ჩნდება ახალქმედებათა განხორციელების შესაძლებლობა, რაც განიხილება როგორც წინაღობებისა და შეცდომების დაძლევის გზად.

ამრიგად, სცენარი წარმოადგენს არა მხოლოდ მოვლენათა ჯაჭვს, არამედ იგი კაუზალურ მოვლენათა ჯაჭვთანაა დაკავშირეული. მას შეუძლია განშტოება მრავალ შესაძლო გზად. ეს გზები სცენარი ტიპურ წერტილებში-ელემენტალურ ქმედებებში ერთიანდებიან. მ. მინსკისა და რ. შენკის თვალსაზრისით, სცენარის აღწერილობიდან გამომდინარე, სცენართა შორის ანალოგიის დადგენა სირთულეს არ წარმოადგენს . ფრეიმ-სცენარის ფორმირების ერთ-ერთი ხერხი ითვალისწინებს მის იერარქიულ

ფოეიძ-სცენარის ფორძირების ერთ-ერთი ხერნი ითვალისგინებს ძის იერარქიულ სტრუქტურაში არსებული ქსელის სახით წარმოდგენას (Marsden, Littler /მარსდენი, ლითერი, 2000).

ქსელის ყველაზე მაღალი დონის კვანძი გაიგივებულია სცენარის სათაურთან. ამ ქსელის შვილობილი სიმაღლეები წარმოადგენს ფრეიმის ტერმინალებს. ტერმინალის ნებისმიერი შესაძლო დავალება თავის ტერმინალებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, განიხილება როგორც მეორე დონის ფრეიმი (სუბფრეიმი). აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ფრეიმისა და სუბფრეიმის ტერმინალები ასოცირდებიან მოქმედებასთან, რომელიც წარმოადგენს ყველა ქცევის განზოგადებულ სახეს და განისაზღვრება ტერმინალის შესაძლო დავალებების საფუძველზე (Liming, Shadbolt, Carole /ლიმინგი, შადბოლტი, ვაროლე, 2007).

საკმაოდ ეფექტურია ფრეიმ-სცენარის აღმწერის განზოგადება "ქმედებათა სქემის" მეშვეობით. აღნიშნული სქემა განსაზღვრავს ქმედების სტრუქტურის მხოლოდ და მხოლოდ ზოგად ვერსიას, რომელშიც არ არის კონკრეტულად განსაზღვრული მოქმედი პირები, ქმედების საშუალებები, ქმედების ადგილი, მაგალითად: X უნდა ჩავიდეს V-ში, სადაც X-ს შეუძლია ნებისმიერ კონკრეტულ ადამიანად ყოფნა, ხოლო V-ს - ნებისმიერ კონკრეტულ ადგილად სიმაღლე იერარქიული თვალსაზრისით, მით უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს იგი ქმედებას (Lederman & Scheppler /ლედერმანი & შეპლერი, 2001).

ადამიანის მეხსიერებაში არსებული ფრეიმთა არსენალიდან რეალური სიტუაციისათვის მაქსიმალურად ადეკვატური ფრეიმის შერჩევის პროცესი, საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ რეალობის ადეკვატურ აღქმას (Jackendoff R./ჯაკენდოფი, 1990).

ფრეიმი "მორგებულია" რეალობას თუ იგი ინტეგრირებულია უფრო მსხვილ ფრეიმში ტერმინალის დავალების სტატუსით და თუ მისი ტერმინალები დავალებებითაა სავსე.

აღქმისა და მსჯელობის პროცესში საკვანძო სიტყვები, იდეები და ხატის ელემენტები მეხსიერებიდან სხვადასხვა ფრეიმების ერთობას იწვევენ (Jackendoff / ჯაკენდოფი, 1992). შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ მეხსიერების არსენალიდან თავდაპირველად შერჩეულ სუბფრეიმთა ნაწილი რეალობას არ შეესაბამება. ასეთ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ელემენტების ჩანაცვლება უფრო ადეკვატური სუბფრეიმებით. კონკრეტულ შემთხვევაში "ადეკვატურობა" გულისხმობს ზემოხსენებულ პირობათა დაკმაყოფილებას (Jackendoff/ჯაკენდოფი,1991).

ფრეიმი წარმოადგენს სტერეოტიპული სიტუაციის მონაცემთა რეპრეზენტაციის სტრუქტურას. თითოეულ ფრეიმთან ასოცირდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია (Кубрякова /კუბრიაკოვა, 1992), (Демьянков / დემიანკოვ, 1992).

ფრეიმის წარმოდგენა შესაძლებელია ქსელის სახით, რომელიც შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირისგან. ფრეიმის "მაღალი დონეები" მკაფიოდაა განსაზღვრული, რამდენადაც ფორმირებულია იმ ცნებებით, რომლებიც ყოველთვის მართებულია მოცემულ სიტუაციასთან მიმართებაში (Лазарев /ლაზარევი, 1999) (Касевич /კასევიჩი, 1998).

უფრო დაბალ დონეებზე განლაგებულია სპეციფიკური სიმაღლეები–ტერმინალები, რომლებიც ივსება სპეციფიკური (არასტერეოტიპული) მონაცემებით.

სემანტიკურად მსგავს ფრეიმთა ჯგუფები ფრეიმთა სისტემაში ერთიანდებიან (Devitt /დევიტი, 1990). (Anderson/ ანდერსონი, 1996).

(Кубрякова/კუბრიაკოვა, 2001). განსხვავებული ფრეიმები დამკვირვებლის განსხვავებულ პოზიციებს შეესაბამებიან.

თეორიული ცოდნის არსს წარმოადგენს მრავალფეროვანი ფაქტებისა და კანონზომიერებების არა მხოლოდ აღწერა და ახსნა, არამედ სამყაროს ჰარმონიის გამოვლენა.

### კვლევის ძირითადი მიზანი

მეცნიერული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ თეორიის აგება, რომელიც პასუხობს კვლევის ფარგლებში გამოკვეთილ მოთხოვნებს:

- ა. ანალიზს, კლასიფიკაციას, სისტემატიზაციას, სინთეზირებას;
- ბ. ინტერპრეტაციას, გააზრებას, ახსნას;
- გ. პროგნოზირებას.

ნაშრომში განხორციელებული კვლევა შედგება:

- ა. პროექტირების ფაზისაგან, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მოდელის კონფიგურაციის განსაზღვა;
- ბ. რეფლექსური ფაზისაგან, რომლის შედეგსაც წარმოადგენს კონსტრუირებული მოდელის შეფასება მოდელის კორექტირების საჭიროების განსაზღვრა. ნაშრომში გამოყენებულია ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის ტიპური მეთოდოლოგიური მიდგომები:
- 1. პლურალისტური მიდგომა უარს ამბობს სამყაროს მხოლოდ ერთი პერსპქტივიდან ხედვაზე და გულისხმობს ფენომენის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევას;
- ირაციონალური მიდგომა უგულებელყოფს დისკრეტულობასა და სტატიკურობას,
   შესაბამისად, გულისხმობს სამყაროს კვლევას კონტინუალურ და დინამიურ ასპექტებში.
   ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს საკვლევი ფენომენისადმი:
- 1. სისტემურ მიდგომას;
- 2. ინტერპარადიგმულ მიდგომას;
- 3. მაპროექტირებელ მეთოდს, რომელიც განსაზღვრავს კვლევის ეტაპებს;
- 4. ანალიზის ზოგადმეცნიერულ ფორმებს: ანალიზს, სინთეზს, ანალოგიზაციას, კონტრასტირებასა და მოდელირებას.

ფრეიმის კონსტრუირების ეტაპებს მიღმა იკვეთება ისეთი საკითხების გადაჭრის აუცილებლობა, როგორიცაა:

- იმ მასშტაბური ელემენტების იდენტიფიცირება, რომლებიც შეადგენს კონკრეტული დროისა და სივრიცისათვის რელევანტური ფუძემდებლური პრინციპებისა და სამყაროს შესახებ არსებული წარმოდგენების კრებულს;
- 2. კონცეპტთა ანალიზი მათ სტრუქტურაში სხვადასხვა "ფენათა" არსებობა/არარსებობის თვალსაზრისით. ეს ფენებია:
  - ა. ძირითადი, აქტუალური ნიშნის ფენა, რომელშიც კონცეპტი აქტუალურია კონკრეტული ენისა და კულტურის ყველა მატარებლისათვის;
  - ბ. დამატებითი, "პასიური" ნიშნის ფენა, რომელმაც დაკარგა აქტუალობა და იქცა "ისტორიულ" ნიშნად;
  - გ. გაუცნობიერებელი შიდა ფორმის ფენა, რომელიც ენის მატარებლისათვის წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც ფიქსირდება მნიშვნელობათა დანარჩენი ფენები;
- 3. კონცეპტთა კლასიფიკაცია:

- ა. უნიკალურ კონცეპტებად, რომლებიც დეტერმინირებულია კონკრეტული კულტურის თავისებურებით;
- ბ. უნივერსალურ კონცეპტებად, რომლებიც მოკლებულია კულტურულ სპეციფიკას.
- 4. იმ პრინციპებისა და წარმოდგენების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია კონკრეტული ფრეიმის ადეკვატური ინტერპრეტაციისათვის;
- იმ ცვლილებათა აღრიცხვა, რომლებიც, ჩვეულებრივ, იწვევს სამყაროს
   სურათის მოდიფიკაციასა და სამყაროს ფენომენის ადეკვატური ახსნისათვის
   საჭირო ახალ ეტალონთა დამკვიდრებას;
- 6. ფრეიმის, როგორც სამყაროს შესახებ კონკრეტული ტრადიციის ფარგლებში არსებულ წარმოდგენათა ჯამის განხილვა;
- 7. იმ სივრცის მონიშვნა, რომელიც მოიცავს "ემოციურ-შეფასებით", მოტივაციურ და ცნობიერების სხვა ასპექტებს და შედგება კონცეპტებისაგან;
- 8. ფრეიმის ანალიზი მისი სტატიკურობა/დინამიურობის, ღიაობა/დახშულობის თვალსაზრისით.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, იკევეთება ისეთ ამოცანათა გადაჭირს აუცილებლობა, როგორიცაა:

- 1. "შემთხვევებისა" და "ინტერპრეტაციების" ანალიზი ზოგად კანონზომიერებათა იდენტიფიცირების მიზნით;
- კანონზომიერებების ინტერსუბიექტურ ელემენტთა გამოვლენა, ვინაიდან სწორედ ეს ელემენტები წარმოადგენს სემანტიკური ფრეიმის მაორგანიზებელ ძალას.
- 3. სემანტიკური ფრეიმის კონტინიუმის ვალიდურობის განსაზღვრა, რაც გულისხმობს:
- ა. სემანტიკური ფრეიმის ფარგლებში მოქმედ წესთა რელევანტურობის განსაზღვრა კონკრეტული შინაარსობრივი განსაზღვრულობის მოლოდინების სახით.
  - სქემათა სისტემის ფორმირება, რომელიც შეიძლება, განვიხილოთ "ურთიერთქმედების რიტუალის" ერთგვარ ფორმად;
  - 5. სქემათა სისტემის ვალიდურობის კრიტერიუმთა ჩამოყალიბება.

1.3 კვლევის სემანტიკურ-კოგნიტური მიმართულება როგორც სემანტიკურ და კოგნიტურ პროცესთა სინთეზის შედეგი

კვლევის სემანტიკურ–კოგნიტური მიმართულება გულისხმობს სემანტიკურ და კოგნიტურ პროცესთა შორის არსებული მიმართების კვლევას (Jackendoff /ჯაკენდოფი, 1983). ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია და განახლებადია დროსა და სივრცეში (Talmy/ტალმი, 2000).

იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელი ადამიანის კონცეპტუალურ სფეროში შეღწევა. რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში (Burling /ბარლინგი, 1964).

კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა გააზრებულია კონცეპტის ნომინაციურ ველად (Jackendoff / ჯაკენდოფი, 2002). მენტალიტეტისა და სამყაროს კოგნიტური ხატის მიმართების საკითხი: მენტალიტეტი გააზრებულია როგორც სინამდვილის აღქმისა და გაცნობიერების სტილი (Globerson, Zelniker /გლობერსონი, ზელნიკერი, 1989).

სტილის თავისებურება განპრობებულია ცნობიერების კოგნიტური სტერეოტიპების თავისებურებით (Wierzbicka /ვიერზბიკა, 1992), (Lakoff /ლაკოფი, 1977).

კონკრეტული პიროვნების მენტალიტეტი დეტერმინირებულია ეროვნული და ჯგუფური მენტალიტეტით, ასევე ადამინის განვითარების თავისებურებით, კერძოდ, მისი განათლებით, კუტურით, მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის სპეციფიკით (Демьянков /დემიანკოვი, 1989).

ჯგუფური მენტალიტეტი განპირობებულია სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული, გენდერული ჯფუფების მიერ მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებით (Markus ,Kitayama /მარკუსი, კიტაიამა, 1991). რაც შეეხება ეროვნულ მენტალიტეტს, იგი განპირობებულია მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის ეროვნულობით (Le Pan/ლე პანი, 1989).

კონცეპტისა და სიტყვის მიმართების საკითხი: აზროვნებისა და ვერბალიზაციის მექანიზმები აბსოლუტურად სხვადასხვა მექანიზმებია, შესაბამისად, კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია არ განიხილება კონცეპტის არსებობის აუცილებელ პირობად (O' Grady/ო გრადი, 1987).

ვერბალიზაციას შესაძლოა, არ დაექვემდებაროს როგორც მთელი კონცეპტი, ისე მისი ცალკეული აზრობრივი ნაწილი. ნებისმიერი ენობრივი ნიშანი წარმოადგენს კონცეპტს, მაგრამ იგი წარმოადგენს კონცეპტს არა სრულად - ენობრივი ნიშანი თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს რამდენიმე კონცეპტუალურ თვისებას (Jackendoff/ ჯაკენდოფი, 1992). და მაინც, კონცეპტი მთელი თავისი შინაარსის სისრულით შესაძლოა გამოიხატოს მხოლოდ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობით - სიტყვა წარმოადგენს კონცეპტუალური ცოდნის "გასაღებს" (O' Grady/ო გრადი, 1987). კონცეპტის ენობრივი გამოხატულება, მისი რეგულარული ვერბალიზაცია უზრუნველყოფს კონცეპტის სტაბილურობას, მდგრადობასა და ცნობადობას (Болдырев /ბოლდირევი, 2001). (Величковский /ველიჩკოვსკი, 2006). კონცეპტისა და მნიშვნელობის მიმართებების საკითხი: კონცეპტსა და მნიშვნელობას შორის არსებობს როგორც მსგავსება (ორივე ასახვას სინამდვილეს) ისე განსხვავებაც (კონცეპტი ადამიანის კოგნიტური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი – ენობრივი ცნობიერების) (Wierzbicka / ვიზერბიკა, 1984).

ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები გამოხატავენ ნიშნად კონცეპტუალურ თვისებებს, მაგრამ არა სრულად (Talmy/ტალმი, 2000). კონცეპტი უფრო ფართოა ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (Rosch /როში, 1978).

# სემანტიკური ფრეიმის არსი

სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურასა და ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს (Barsalou /ბარსალუ, 1992).

ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში აკუმულირებული სტურქტურები - ფრეიმები. ფრეიმი გააზრებულია როგორც მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ერთეული (Minsky/მინსკი, 1986).

ფრეიმი წარმოადგენს სტერეოტიპული აღქმის რეპრეზენტაციისათვის საჭირო სქემას, რომელიც იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მრავალფეროვანი ცოდნის გამოსახვის შესაძლებლობას (Minsky /მინსკი, 1993). (Gaines/გეინსი, 1997). (Geeraerts /ჯირაერტი, 1993). სემანტიკური ფრეიმები ქმნიან რეპერტუარულ ბადეს (repertory grid), რომელიც განიხილება ცოდნის ერთგვარ მატრიცად (Globerson, Zelniker /გლობერსონი,ზელნიკერი, 1989). (McCarthy, Mitchell, Mueller, Riecken, Sloman & Winston /მაკარტნი, მიჩელი,

მიულერი, რიკენი, სლომანი & ვინსტონი, 2007). (Hart & Luke /ჰარტი & ლუკი, 2007). (Győri / გიორი, 2002).

გარე სამყაროს "გართულებასთან" ერთად, ზვავისებურად იზრდება მისი ფორმალიზების აქსიომათა რაოდენობა. სულ უფრო რთული ხდება აქსიომათა მრავალფეროვნებიდან საკვლევი ფენომენისათვის მაქსიმალურად რელევანტური აქსიომის შერჩევის პროცესი (Dunn, Cahill, Dukes, Ginsberg /დანი, კაჰილი, დუქსი, გინსბერგი, 1986). (Fauconnier /ფუკონირი, 1998). ანალოგიური ტიპის სირთულეები იქმნება ამა თუ იმ თეორიული მეთოდის გამოყენებისას, რომლის ფარგლებშიც უნდა წარმოჩინდეს გარე სამყაროს მოდელი (Kendal, Simon & Creen, Malcolm./კელდალი, სიმონი & გრინი, 2007). აღნიშნული მოდელი უნდა შეესაბამებოდეს გარე სამყაროს როგორც არსებულ მდგომარეობას, ისე შესაძლო ქმედებებს, რომელთა საშუალებითაც ერთი მდგომარეობა გადადის მეორეში (Lyons. John/ლიონს ჯონი, 1968). (Latta & Swigger/ლატა & სვიგერი, 1992. გვ. 56-62). პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ შესაძლო გზას წარმოადგენს სამყაროს მოდელში ინტეგრირებულ ცნებათა შორის არსებულ მიმართებათა ანალიზი და გარე სამყაროს პრაგმატიკის გათვალისწინება.

თავი II. ლექსიკურ-სემანტიკური და კონცეპტუალური სივრცეები
2.1 "დანაშაულის" კონცეპტის სტრუქტურაციისა და ერთეულთა ორგანიზების
პრინციპები

"დანაშაულის" კონცეპტის სტრუქტურიზაციას საფუძვლად უდევს:

 "დანაშაულის" კონცეპტის კვლევა თანამედროვე ინგლისურ ენაში ეფუძნება კონცეპტუალურ ანალიზს.

კონცეპტუალურ ანალიზზე მსჯელობისას მკვლევარები, ჩვეულებრივ, უპირისპირებენ მას სემანტიკურ ანალიზს. ე.ს. კუბრიაკოვას თვალსაზრისით, ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპები განსხვავდება ერთმანეთისგან მიზნებისა და ანალიზის განხორციელებისათვის საჭირო მასალის სპეციფიკით. "სემანტიკური ანალიზი ორიენტირებულია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე, სიტყვის დენოტაციურ, სიგნიფიკაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობათა იდენტიფიცირებაზე. კონცეპტუალური ანალიზი გულისხმობს ნიშნის, როგორც კოგნიტური წარმონაქმნის, ძიების პროცესს. სემანატიკური ანალიზი მიზნად ისახავს სიტყვის ახსნას, კონცეპტუალური ანალიზის ორიენტირი კი მიემართება სამყაროს შესახებ არსებული ცოდნისაკენ" (Кубрякова/კუბრიაკოვა, 1994).

"დანაშაულის" კონცეპტის სტრუქტურიზაციას თანამედროვე ინგლისურ ენაში საფუძვლად უდევს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფრეიმული რეპრეზენტაციის პრინციპი.

ახდენს რა კონკრეტულ სტერეოტიპულ სიტუაციაზე ან კლასზე არსებული ცოდნის აკუმულაციას, ფრეიმი ასრულებს მონაცემთა იერარქიულად ორგანიზებული სტრუქტურის ფუნქციას (Правикова /პრავიკოვა, 1999).

სემანტიკური ფრეიმის ქსელის ფორმირების პროცესი შეიძლება, განვიხილოთ ,,ურთიერთქმედების რიტუალის" ერთგვარ ფორმად, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური ცოდნისა და გამოცდილების კოლექტიურ ცოდნათა და გამოცდილებად გარდაქმნის პროცესს.

სემანტიკური ფრეიმის კონტინიუმის კვლევა გულისხმობს "შემთხვევებისა" და "ინტერპრეტაციების" ანალიზს ზოგად კანონზომიერებათა იდენტიფიცირების მიზნით. კანონზომიერებები ინტერსუბიექტური, სემანტიკური ფრეიმის ელემენტთა მაორგანიზებელი ძალაა. სწორედ ეს ძალა გარდაქმნის სემანტიკური ფრეიმის ინდივიდუალურ პლანს ზეინდივიდუალურად.

კონტინიუმის ვალიდურობას განსაზღვრავს სემანტიკური ფრეიმის ფარგლებში მოქმედ წესთა რელევანტურობა კონკრეტული შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულისათვის. სემანტიკური ფრეიმის ფარგლებში მოქმედი სუბსტანციური და ცერემონიალური წესები ხშირად მოლოდინების სახით გვევლინებიან.

3.3. სასჯელის ფორმები და "სასჯელის" კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა ტრანსფორმაცია დროში

ნაშრომში განხორციელებულია კონცეპტთა ანალიზი მათ სტრუქტურაში სხვადასხვა "ფენათა" არსებობა/არარსებობის თვალსაზრისით. ერთ-ერთ ფენას წარმოადგენს დამატებითი, "პასიური" ნიშნის ფენა, რომელმაც დაკარგა აქტუალობა და იქცა "ისტორიულ" ნიშნად.

სამყაროს ენისმიერი ხატის თავისებურების თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია კულტურულ-ისტორიული კონტექსტით აღბეჭდილ ერთეულთა კვლევა. კონკრეტულ შემთხვევაში ვგულისხმობთ ერთეულებს, რომლებიც აღნიშნავს გაკიცხვას, ვინმეს დასჯას.

ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს ცნობები ქვეყანაში ადამიანის დასჯის სხვადასხვა ფორმის შესახებ. ძველ საქართველოში დასჯის ორგვარი ფორმა გამოიყენებოდა: ფიზიკური და გამაწბილებელი სასჯელი.

ვარსქენის მიერ შუშანიკის საპყრობილეში ჩასმის ცალკეული დეტალის აღწერისას ჩანს, რომ საპყრობილეში მოთავსებულს სჯიდნენ ქედზე ჯაჭვის დადებითა და ფეხებზე ბორკილის შებმით. შუშანიკს "ჯაჭვ იგი, რომელ ედვა ქედსა მისა ზედა, ეგრეთვე ედვა, დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსქენ" - გადმოგვცემს იაკობ ხუცესი.

ქედზე ჯაჭვის დადება და ფეხებზე ბორკილის შებმა, როგორც დასჯის ერთ-ერთი ფორმა, ასევე გვხვდება "ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში".

ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ ევსტათი და სხვა მისი თანამზრახველები, რომლებიც ქრისტიანობაზე მოიქცნენ, მიიყვანეს მსაჯულთან, ხოლო მან "უბრძანა მსახურთა თვისთა პირსა ცემა ნეტართა მათ და გარე განყვანება ყოველთა და უბრძანა: და ჰყვნეთ მაგათ თავი და წუერი და განუხურიტენით მაგათ ცხვირნი და ჯაჭვ დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუხსენით ფერხთა, და შესხენით ეგენი საპყრობილესა".

ჯაჭვით ადამიანთა დაბმის შესახებ ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ მრავალი ფაქტი შემოგვინახა. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა დასაბმელი ჯაჭვები სტრაბონის მიხედვით, ძვ.წ. I საუკუნისთვის ალბანელთა ყოფაშიც დასტურდება..

"ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" ადასტურებს, რომ იმ დროს საქართველოში სპარსელთა მიერ, ქედზე ჯაჭვის დადებისა და ბორკილების შებმის გარდა, შემოღებული იყო დასჯის სხვა ფორმებიც: თავისა და წვერის დაყუენა (ანუ მოპარსვა), ცხვირის გახვრეტა, პირის ცემა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი დასჯის ფორმები ფიზიკურ სასჯელს განეკუთვნება. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც იგივე წერილობითი წყაროები მოწმობენ, არსებობდა გამაწბილებელი სასჯელიც - ვირზე შესმა.

"შუშანიკის წამებიდან" ჩანს, რომ ქმრის მიერ ცოლის დასჯის ერთ-ერთი ფორმაა მისი გასახლება. მკვლევართა ერთი ნაწილის შეხედულებით - მისი მშობლების სახლში უკან დაბრუნება. ვარსქენი შუშანიკს ემუქრებოდა თუ "ტაძრად" (ე.ი. სამთავრო სახლში) არ მოხვალ, "ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა". გამოდის, რომ ვარსქენი შუშანიკს კარაულით, ე.ი. სახედარზე შესმით გაგზავნას ემუქრებოდა. ნაწარმოების ამ ეპიზოდში მინიშნებულია, შეიძლება ითქვას, დადასტურებულია ჩვენი წარსული ეთნოგრაფიული სინამდვილისთვის ცნობილი ფაქტი - ქმრისგან უარყოფილი ცოლის მშობლების სახლში დაბრუნება სახედარზე შესმით.

"ცნობილია, რომ სახედარზე, ანუ ვირზე შესმა ძველ საქართველოში მიღებული იყო, როგორც დასჯის, გამაწბილებელი სასჯელის ერთ-ერთი სახე. ის ცნობილი იყო ბიზანტიელთა ყოფისთვის და ქართული სინამდვილისთვისაც. ასე მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში "სამართალი ბერძნულის" მიხედვით, ვირზე შესმა არის დასჯის ერთ-ერთი სახე სხვადასხვა დანაშაულისთვის: მოსამართლის მიერ უსჯულის კანონი სამართლის ქმნისათვის (მუხ. 2), მსაჯულის გინებისათვის (მუხ. 56), წამლის მიცემით დედაკაცის მუცელში შვილის მოკვლისათვის (მუხ. 77) და სხვ. ვირზე შესმას

გამაწბილებელ სასჯელად მიიჩნევს აკადემიკოსი ისიდორე დოლიძე. ვირზე პირუკუღმა შესმულ დამნაშავეს ვირის კუდს ხელში დააჭერინებდნენ და მთელ სოფელს შემოატარებდნენ. მას დიდი და პატარა თავზე ლაფს ასხამდა, აფურთხებდნენ." ვირზე უკუღმა შესმამ და ასეთი სახით სოფელ-სოფელ ჩამოტარებამ, როგორც ქმრის მოღალატე ცოლის დასჯის, მისი გაწბილების ფორმამ ასახვა ჰპოვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

"პერანგა ქალი უკუღმა შეესვათ ვირზე...

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლა, ეტყობოდა, სციოდა, სცხელოდა და იგმირებოდა, ალბათ, ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი მნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!

იმწამს იგი ათჯერ მოკვდა, ისევ ათჯეთ ძალით აცოცხლებდნენ!..

თრთოდნენ ქალის ანგელოზი მხრები და ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე, რომელსაც თანდათან ფერი ეკარგებოდა" - ვკითხულობთ გიორგი ლეონიძის მოთხრობების კრებულში "ნატვრის ხე".

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახის სასჯელს ასევე სხვაგანაც ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებში. კერძოდ XI საუკუნის საისტორიო თხზულებაში ,,მატიანე ქართლისაში" აღნიშნულია, რომ ისაკ ტოლობელის მემ, მესხმა აზნაურმა, ,,დაიჭირა ხელითა და გასუა ჯორსა ფადლონ - თბილისის ამირა, ამის წინ კი მოთხრობილია, რომ მან გაძარცვა ერი ფადლონისა და გარდაყარა ისინი ცხენებიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში - თავზე ლაფის დასხმა, ვირზე შესმა, საყვედურით ცხვირის გახვრეტა, ძაღლთან დაბმა - შემონახულია ქართული დიფერენციალური ფსიქოლოგიით განპირობებული ეთნოგრაფიული ყოფის თავისებურება. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულების არსებობა არ დასტურდება ინგლისურ ენაში. აღნიშნული ელემენტების სემანტიკურ სტრუქტურაში არსებული "სასჯელის" სემა მხოლოდ კონკრეტული კონტექსტის წყალობით იძენს ისეთ დიფერენციალურ ნიშნებს, როგორიცაა ფიზიკური/არაფიზიკური ქმედება. ელემენტებს, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში "სასჯელის" სემა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას პირობითად ვუწოდებთ "პოლიკონტექსტუალურს" (ელემენტთა ჩვენს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ეხმიანება ანთროპოლოგ ედუარდ ჰოლის თეორიას "ფართო" და "ვიწრო" კონტექსტის კომუნიკაციის შესახებ (ჰოლი 1976). ჰოლის აზრით, "ფართო" კონტექსტის კომუნიკაციის მახასიათებელს წარმოადგენს ელემენტთა იმპლიციტურობა და ელემენტთა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობა.

"ფართო" კონტექსტის ელემენტებს მეცნიერი განიხილავს როგორც პოტენციათა ჯამს, პოტენცია კი რეალიზდება მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში. "ვიწრო" კონტექსტის კომუნიკაციის ელემენტებად ჰოლი მიიჩნევს იმ ელემენტებს, რომელთა მარკერებსაც წარმოადგენს ექსპლიციტურობა. "ვიწრო" კონტექსტის კომუნიკაციის ელემენტები არ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას.

ედუარდ ჰოლის "ვიწრო" და "ფართო" კონტექსტის ელემენტთა მარკერები სრულ შესაბამისობაშია "მონო" და "პოლიკონტექსტულური" ელემენტების მარკერებთან, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია "მონოკონტექსტუალური" ელემენტების "ვიწრო" კონტექსტის კომუნიკაციის ელემენტებად, ხოლო "პოლიკონტექსტულური" ელემენტების "ფართო" კონტექსტის კომუნიკაციის ელემენტებად განხილვა (ჩვენ ვფიქრიბთ, რომ ეს ანალოგია წარმოადგენს ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის პერსპექტივათა თანაზიარობის მანიფესტაციას.

"პოლიკონტექსტულურ" ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში "ფიზიკური სასჯელი" იქცა პასიურ, ისტორიულ ნიშნად.

ადამიანები საუკუნეების მანძილზე დიდ სისასტიკეს ავლენდნენ და ხშირად ამას სწორედ კანონის სახელით ხსნიდნენ.

რთული წარმოსადგენია, თუ ადამიანის სიკვდილი ისეთი უწყინარი ცხოველის საშუალებითაც შეიძლება, როგორიც ცხვარია. დამნაშავეს აბამდნენ და ფეხის გულებზე სპეციალურ სითხეს უსვამდნენ. ამ სითხის ლოკვა ცხვარს ძალიან მოსწონდა. ცხვარს ხორკლიან ენას იმდენ ხანს ასმევინებდნენ, სანამ, დამნაშავეს ღუტუნისგან გული არ გაუსკდებოდა.

ესპანური ვირი, რომელსაც ხის ცხენსაც უწოდებდნენ - წამების ეს მეთოდი არამარტო ევროპაში,არამედ ამერიკაშიც (XVIII ს) გამოიყენებოდა. ის წარმოადგენდა სამკუთხა ფორმის ხის გრძელ ნაჭერს, რომელსაც ზედა მხარეს ბასრი კუთხე ჰქონდა. შიშველ მსხვერპლს მასზე სვამდნენ და ფეხებზე სიმძიმეებს აბამდნენ. აგონიის დადგომის მომენტი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად მძიმე ნაჭრებს შეაბამდა ჯალათი მსხვერპლს. წყაროები გვიამბობენ, რომ რიგ შემთხვევებში წონის გადაჭარბების გამო ბრალდებულის სხეული შუაზე იპობოდა.

ხელსაწყოს, რომლითაც აწამებდნენ, "თავის მსრესავი" ეწოდებოდა. ნიკაპი მაგიდას ეყრდნობოდა, თავის ქალა კი გუმბათოვან სახურავში თავსდებოდა. ჯალათი კი ხრახნს ატრიალებდა, ჯერ კბილები იმსხვრეოდა, შემდეგ ყბა ნაკუწდებოდა და ბოლოს თვალები ვარდებოდა ბუდიდან, ამ ყველაფერს კი ტვინის ყურებიდან გამოჟონვა აგვირგვინებდა.

წამების შემდეგი მეთოდი კი ადამიანის მოხარშვაა. ბრალდებულს აშიშვლებდნენ და სითხით (ქონი, ზეთი, მჟავა, წყალი) სავსე დიდ ქვაბში სვამდნენ, შემდეგ კი ქვაბს აცხელებდნენ. ზოგჯერ ჯალათი დამნაშავეს თოკს მოაბამდა და პერიოდულად ზევით სწევდა, შემდეგ კი უკან აბრუნებდა. ამ გზით წამება ხანგრძლივდებოდა.

თუ გადავხედავთ შუა საუკუნეების ადათ-წესებს, დავინახავთ, რომ მძვინვარებდა მძაფრი კანონები და ადამიანი მის წინააღმდეგ უძლური იყო. ისტორიაში ფიქსირდება სიკვდილის მიზნით წამების შემდეგი სასტიკი ფორმები:

ცოცხლად დამარხვა - ეს მეთოდი სიკვდილის დასჯისთვის ძირითადად მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა. ქალაქ ნანკინში ხშირად ხდებოდა იაპონელი ჯარისკაცების მიერ თავდასხმის შემდეგ ჩინელი მოსახლეობის ამ გზით დასჯა.

გველებით სავსე ორმო - ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ამ მეთოდით სიკვდილის მიზნით წამება, რომელიც შხამიანი, მშიერი გველებით სავსე ორმოში ვითარდება. ამ მეთოდით აწამეს ვიკინგების მხედართმთავარი Ragnar Lodbrok-ი და ბურგუნდიის მეფე Gunnar-ი.

ხუთი სასჯელით დასჯა - ასეთი დასჯის მეთოდი ჩინელმა პრემიერ მინისტრმა Li Sai-მ გამოიგონა, რომელიც იწყებოდა მსხვერპლის ცხვირის მოჭრით, გრძელდებოდა ხელის და ფეხის მოკვეთით და ბოლოს კასტრირებით მთავრდებოდა.

ოთხივე კუთხიდან გაჭიმვით დასჯა - მოღალატეებს სწორედ ამ ფორმით სჯიდნენ ინგლისში, ანუ მსხვერპლს ხელ-ფეხზე გამოაბამდნენ თოკებს და მაქსიმალურად ჭიმავდნენ რომ გახლეჩილიყო. 1814 წელს ამ ფორმით სიკვდილი აიკრძალა, თუმცა მანამდე ათასობით ადამიანი ემსხვერპლა.

ცემენტის ფეხსაცმელი - ამერიკელი მაფიოზების მიერ გამოგონილი სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც იშვიათად, მაგრამ დღესაც გვხვდება. მსხვერპლს რკინის ყუთებში ჩააყოფინებდნენ ფეხებს, რომელსაც ჩააცემენტებდნენ და აგდებდნენ წყალში. ადვილი მისახვედრია, რომ დაზარალებული წყლიდან ვეღარ ამოვიდოდა, რადგან სიმძიმე მას უმალ ფსკერისკენ გააქანებდა.

ჯვარცმა - ყველასათვის კარგად ნაცნობი, სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია.

სპილენძის ხარი - ითვლება, როგორც წამების ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მეთოდი, რომელიც ძველ საბერძნეთში დაინერგა. სპილენძის ხარს, რომლის შუა გულში მსხვერპლს შესვამდნენ და კარს ლუქავდნენ, ქვევიდან უნთებდნენ კოცონს და როდესაც

სპილენძი გაყვითლდებოდა, ადვილი მისახვედრია, რომ მსხვერპლი შიგნით იხრუკებოდა.

ზეთში მოხარშვა - ჩინეთის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი ქვაბები და სპეციალური ბუხრები რომელთა მახლობლადაც დიდი რაოდენობის ადამიანის ძვლები იყო. სავარაუდოდ გასამართლების ეს ხერხი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ჩინეთში.

ინგლისში ეს ადამიანის დასჯის კანონიერი მეთოდი იყო მე-16 საუკუნემდე.დამნაშავეს აგდებდნენ მდუღარე წყლით,ზეთით ან კუპრით სავსე ქვაბში და აჩერებდნენ იქ სანამ არ მოკვდებოდა, სავარაუდოდ მსხვერპლი მიღებული შოკისაგან კვდებოდა.

სარზე ჩამოცმა - ეს იყო რომაელების, ბერმნების, ჩინელების და თურქ—ოსმალების საყვარელი დასჯის მეთოდი. შუა საუკუნეებში გამოიყენებდნენ ევროპის ბევრ ქვეყანაში. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მტანჯველი და საზიზრარი სასჯელი ადამიანის მიერ გამოგონებული. ადამიანებს გრძელ, წაწვეტებულ სარებზე აცმევდნენ მუცლით, ანუსით, ვაგინით ან თავდაღმა პირით. მსხვერპლს სიკვდილამდე რამოდენიმე მტანჯველი საათი ან დღე უნდა გაეტარებინა.

ბრინჯაოს ხარი - ეს იყო ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება, რომლის შიგნითაც სიცარიელე იყო. ამ სიცარიელეში ერთი ადამიანი თავისუფლად თავსდებოდა.მსჯავრდებულს ხარში ჩასვამდნენ და ქვემოდან ცეცხლს შეუნთებდნენ, ქანდაკების თავი იმგვარად იყო დამზადებული რომ შიგნით მყოფი ადამიანის ყვირილი გარეთ ისმოდა ხარის პირიდან, ხოლო ამოსული ორთქლი გამოდიოდა ხარის ნესტოებიდან. ასეთი ქნდაკება აღმოჩენილია სიცილიაში.

კოლუმბიური ყელსაბამი - ლათინო-ამერიკელი ნარკომოვაჭრეები მსხვერპლის ხახას ჩაჭრიდნენ, შემდეგ კი ამ ხვრელიდან ადამიანის ენას დაჭიმავდნენ და გარეთ გამოქონდათ.

სახრჩობელა - ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სასჯელი.სახრჩობელაზე ძირითადად ისჯებოდნენ ყაჩაღები, მეკობრეები და მკვლელები. სახრჩობელა შედიოდა ყველაზე დამამცირებელ სასჯელთა რიცხვში, რადგან ჩამოხრჩობის დროს ადამიანის ყველა კუნთი დუნდება განსასჯელი განიცდს დეფიკაციას.

თავის მოკვეთა - ყველაზე გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ევროპაში, თავის კვეთა ხდებოდა როგორც ნაჯახით, ისე ხმლით. როგორც წესი, თავის მოკვეთამდე ხდებოდა განსასჯელის ხანგრძლივი წამება.

გასრესა - ძირითადად გამოიყენებოდა ამერიკასა და ევროპაში, როდესაც დამნაშავისაგან მოითხოვდნენ დანაშაულის აღიარებას. ყოველი უარის თქმის შემდეგ უფრო მეტ სიმძიმეს ადებდნენ, რაც სიკვდილს იწვევდა.

ჩაქოლვა - ადამიანის ჩაქოლვა ანუ მისი დამარხვა ქვებით ანტიკურ ხანაში იყო პოპულარული. თუმცა ამგვარად მსხვერპლს დღესაც უსწორდებიან ირანში. დანაწევრება - სასჯელი გამოიყენებოდა ინგლისში. დამნაშავეს თავდაპირველად კიდებდნენ თავდაღმა და მიჰყავდათ დასჯის ადგილზე. შემდეგ კიდებდნენ სახრჩობელაზე ოღონდა არ აცლიდნენ სიკვდილს. სახრჩობელიდან ჩამოხსნილს აცლიდნენ შინაგან ორგანოებს ისე რომ იგი ან ყველაფერს ხედავდა და ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემდეგ ასაჭურისებდნენ და კვეთდნენ თავს. ბოლოს კი ოთხ ნაწილად ჭრიდნენ და ინგლისის სხვადასხვა ნაწილში გზავნიდნენ.

ცოცხლად დამარხვა - ასე ექცეოდნენ დამნაშავეებს ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში, შემდეგ შუასაუკუნეების ევროპაში.როგორც წესი მსხვერპლს შეკრავდნენ შემდეგ ორმოში ჩააგდებდნენ და მიწას აყრიდნენ.

ცოცხლად დამარხვის მასიური შემთხვევა მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც იაპონელმა ჯარისკაცებმა ჩინელი მოქალაქეები ცოცხლად დამარხეს.

დახვრეტა - დიდი წარმატებით გამოიყებენოდა მეცხრამეტე, მეოცე საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში სსრკ–ში, ჩინეთში. ძირითადად ხვრეტნენ ჯაშუშებს, სამხედრო ტყვეებს და პოლიტიკურ დამნაშავეებს.

სასიკვდილო ფიცარი - ხერხი ძირითადად გამოიყენებოდა მეკობრეების მიერ.
ხელფეხშეკრულ და თვალახვეულ ადამიანს უნდა გაევლო ფიცარზე და გადამხტარიყო
წყალში ან ძალით გადააგდებდნენ. ზოგჯერ მსხვერპლი წყალში ჩავარდნამდე
იღუპებოდა, რადგან გემებს, როგორც წესი, ხშირად დაყვებოდნენ ზვიგენები.
ცხენებით გაგლეჯა - ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენებოდა ბარბაროსების მიერ, თუმცა
ზოგჯერ ხმარობდნენ ინგლისსა და საფრანგეთშიც. მსხვერპლის თითოეულ კიდურს
მიაბამდნენ ცხენს, ხარს ან რომელიმე ძლიერ ცხოველს, შემდეგ კი მათ სხვადასხვა
მიმართულებით წაიყვანდნენ. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ჯალათი წინასწარ ჭრიდა
დასასჯელის მყესებს, რათა დაგლეჯა ადვილად მომხდარიყო.

სასჯელის ეს ფორმა აღწერილია მიშელ ფუკოს ნაშრომში "ზედამხედველობა და დასჯა". 1757 წლის 2 მარტს დემიენს მიუსაჯეს საჯაროდ მოენანიებინა პარიზის ტაძრის მთავარი კარიბჭის წინაშე". ის ფორნით უნდა მოეყვანათ, პერანგის ამარას ერთ ხელში ორი ფუტის წონის ანთებული სანთელი უნდა სჭეროდა შემდეგ იმავე ფორნით გრევის მოედანზე

მიიყვანდნენ და ჯალათის კუნმზე გავარვარებული მაშებით ხელები, კანჭები, თეძოები და ძუძუს დვრილები უნდა დაეფლითათ. თანაც მას ხელში ის დანა უნდა სჭეროდა, რომლითაც მეფის მოკვლას აპირებდა. ეს ხელი უნდა დაეწვათ ანთებული გოგირდით, ხოლო დაფლეთილი ადგილები მაშებით დაედაღათ. ბოლოს ის ოთხად გაგლიჯეს — წერდა ამსტერდამის გაზეთი – უკანასკნელმა მოქმედებამ დიდი დრო წაიღო, რადგან ცხენები გაწევაზე არ იყვნენ დაგეშილები, ამიტომ ოთხის მაგივრად ექვსი ცხენი ჩააბეს, მაგრამ ესეც კი ცოტა აღმოჩნდა და ამ უიღბლოსთვის როგორმე კიდურები რომ მოეგლიჯათ, მყესები გადაუჭრეს და სახსრები ჩაულეწეს ... ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოუსწორებელი ღვთის მგობელი იყო, მცირე ლანმღვაც არ დასცდენია ბაგეებიდან. ენით აუწერილი ტკივილის გამო გოდებდა და ხშირად იმეორებდა: "უფალო იესო, გემუდარები, დამეხმარე უფალო."

თვითმხილველებისათვის სამაგალითო იყო წმინდა პავლეს ეკლესიის მღვდლის მზრუნველობა, რომელიც ხნიერების მიუხედავად, დასჯილს დაუღალავად ანუგეშებდა. აი, რას გვიყვება დარაჯი ბუტონი: "დემიენი სხეულის ფლეთვის გამო ბევრს ღრიალებდა,მაგრამ ღმერთი არ დაუგმია. თავი წამოსწია და თავის სხეულს დააკვირდა. იმავე ჯალათმა, მაშები რომ ჰქონდა მიჩენილი, დაკაპიწებული ხელებით მდუღარე ქვაბში ჩამჩა ჩაყო და ბლომად მოასხა ყველა ჭრილობაზე. შემდეგ დასჯილს სხეულზე, ორივე ხელზე და ფეხზე, ერთი ბოლოთი წვრილი ბაგირები მიაბეს, მეორე ბოლოთი კი ცხენის აღკაზმულობა.

სასამართლოს მდივანი, ღრმად პატივცემული ლე ზრეტონი რამდენჯერმე მივიდა დასჯილთან და ჰკითხა, რაიმეს თქმა ხომ არ სურდა, მაგრამ პასუხად უარი მიიღო. ყოველ მცდელობაზე ის ჯოჯოხეთური ხმით ღრიალებდა: "ღმერთო შემიწყალე! შემიწყალე უფალო!"

ამ ტანჯვათა მიუხედავად დროდადრო ის თავს წევდა და გაბედულად იყურებოდა. კიდურებზე ბაგირები იმდენად მჭიდროდ იყო მიბმული, რომ ენითაუწერელ ტკივილს აყენებდა. ბატონი ლე ბრეტონი კიდევ ერთხელ მივიდა მასთან და ჰკითხა, რაიმეს თქმა ხომ არ სურდა. მისგან ისევ უარი მიიღო.

რამდენიმე სასულიერო პირი მას მიუახლოვდა და ბევრს ელაპარაკებოდა. მიტანილ ჯვარცმას ის ჰკოცნიდა, ტუჩებს წინ წევდა და სულ ამას იმეორებდა: "უფალო, შემიწყალე".

ცხენები უშედეგოდ ცდილობდნენ მის გაგლეჯას. ორი, სამი მცდელობის შემდეგ, ჯალათმა სამსონამა და ჯალათმა, რომელსაც მაშები ეკავა, ჯიბეებიდან დანები ამოიღეს და ვინაიდან მეტი გზა არ იყო, სხეული ბარძაყებში გადაუჭრეს. ოთხმა ცხენმა მთელი ძალით გაითრია და ორივე ფეხი მოაგლიჯა — ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა. შემდეგ ხელები გადაუჭრეს, წინა მხრის კუნთები და შერჩენილი იოგები. გადაჭრა თითქმის ძვლის დონემდე გახდა საჭირო. გულამოვარდნილმა ცხენებმა წინ გასწიეს, ჯერ მარჯვენა ხელი მოაგლიჯეს, შემდეგ მარცხენა. ოთხივე კიდური მოწყვეტილი ჰქონდა, როდესაც სასულიერო პირები მასთან დასალაპარაკებლად მივიდნენ. ჯალათმა თქვა, რომ ის მკვდარია, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, დავინახე როგორ ინძრეოდა. ქვედა ყბა ჯერ ჩამოუვარდა და მერე ისევ ზემოთ აეწია, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. ერთ-ერთმა ჯალათმა ისიც კი თქვა, კოცონში გადასაგდებად ტანი რომ აუწევიათ, ის ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. ტანი, ხორცის ნაფლეთებთან ერთად ოთხი საათი იწვოდა. საჯარო მონანიება საფრანგეთში პირველად 1791 წელს გაუქმდა, შემდეგ აღდგა და 1830 წელს - საბოლოოდ გაუქმდა.

სამარცხვინო ბოძი უქმდება საფრანგეთში 1789, ხოლო ინგლისში -1837 წელს. დასჯა თანდათანობით სისხლის სამართლის პროცედურების ფარული ნაწილი ხდება. წამებაზე თავშეკავების შედეგად, ჯალათის ადგილს სპეციალისტთა მთელი არმია იკავებს: ზედამხედველები, ექიმები, სატუსაღოს მღვდლები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები. დასჯილის გვერდით დგომით ისინი პატივს მიაგებენ სასამართლოს, რაც მას ესოდენ სჭირდება. ისინი არწმუნებენ მას, რომ სხეული და ტკივილი სადამსჯელო ღონისძიებების საბოლოო ნაწილი არ არის. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენს დროში ექიმი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე სიკვდილმისჯილისთან უნდა იყოს, იზრუნოს მის ჯანმრთელობაზე და ტანჯვა შეუმსუბუქოს.

გილიოტინა, რომელიც 1783 წელს სრულყვეს, პირველად 1760 წელს ინგლისში გაჩნდა. 1791 წელს კი, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის ცნობილი მესამე პუნქტი გვაუწყებს: "ყოველი სიკვდილმისჯილი დაისაჯოს თავის მოკვეთით." გილიოტინა სიცოცხლეს ისე სპობს, რომ თითქმის, სხეულსაც არ ეხება. გილიოტინამ, როგორც შეუმჩნეველმა და სწრაფი სიკვდილის მექანიზმმა, სიკდილით დასჯის ახალი ეპოქა შექმნა.

რევოლუციამ მის გამოყენებას დიდი თეატრალური რიტუალის მნიშვნელობა შესმინა. იმისათვის რომ დასჯას სანახაობრივი ფუნქცია დაეკარგა, რომ ქცეულიყო სასამართლოსა და დამნაშავის საიდუმლოებად, გილიოტინის სენ-ჟენში გადატანა გახდა აუცილებელი. დამნაშავის გადასაყვანი ღია ურემი კარეტამ შეცვალა, რისი საშუალებითაც ის

მოულოდნელად გამზადებულ ეშაფოტზე გამოჰყავდათ. საბოლოოდ ის ციხეებში დადგეს და პუბლიკისათვის ხელმიუწვდომელი გახადეს.

მირფესვიანად შეიცვალა "დანაშაულიც", როგორც სისხლის სამართლის პრაქტიკის ობიექტი: შეიცვალა უფრო მისი თვისება, ბუნება და შინაარსი, ვიდრე ფორმალური განსაზღვრა. "დანაშაულისა და ბრალის" სახელით ძველებურად ასამართლებენ კოდექსით განსაზღვრულ იურიდიულ ობიექტს, თუმცა ამავე დროს ასამართლებენ ვნებებს, ანომალიებს, ფიზიკურ ნაკლს,უნარშეზღუდულობას. ასამართლებენ აგრესიის აქტს, თუმცა ამავე დროს აგრესიულობას, გაუპატიურებას და გარყვნილებას, მკვლელობას და ამასთანავე მის წადილს.

სიკვდილით დასჯას დიდი ისტორია აქვს, სჯიდნენ განსხვავებული სისასტიკით, განსხვავებული მეთოდებით:

სკაფიზმი - გავრცელებული იყო ძველ სპარსეთში, დასასჯელ ადამიანს გააშიშვლებდნენ და სვავდნენ გამოთლილ ხის მერქანში ისე რომ მხოლოდ ხელები, ფეხები და თავი ჰქონოდა გარეთ. შემდეგ ეს ხის ნაკეთობა მიჰქონდათ ჭაობში ხოლო დასასჯელს ასმევდნენ რძისა და თაფლის ნაზავს რათა განვითარებოდა დიარეა. მალე მწერები და ჭიები იწყებდნენ ადამიანის ჭამას, მის სხეულში კვერცხების დადებას. ეს ტანჯვა დაახლოებით 2 კვირას გრძელდებოდა და სიკვდილის მიზეზი გაუწყლიანება, შიმშილი და შოკი იყო.

რესპუბლიკური ქორწილი - მეთოდის გამოიგონეს საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. გაშიშვლებულ ქალსა და მამაკაცს ერთმანეთზე მჭიდროდ მიაბამდნენ და წყალში ყრიდნენ, ვერცერთი ვერ ინმრეოდა და იხრჩობოდნენ.

სპილოს ტორი - გამოიყენებოდა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. ადამიანს კლავდნენ სპეციალურად გაწვრთნილი სპილოს ტორის დაწოლით. ეს სასჯელი ძირითადად გამოიყენებოდა იმპერატორის მოწინააღმდეგეთა და მოღალატეთა დასასჯელად. ბესტიარიუმი - ასე სჯიდნენ რომში პოლიტიკურ დამნაშავეებს. მათ იარაღის გარეშე გარეულ მხეცებთან საბრძოლველად უშვებდნენ არენაზე.

გახერხვა - მეთოდს იყენებდნენ აზიისა და ევროპის ზოგიერთ რეგიონში. დამნაშავეს აშიშვლებდნენ, დაკიდებდნენ თავდაღმა, შემდეგ კი იწყებდნენ საზარდულიდან მის გახერხვას. რადგან ადამიანი თავდაღმა იყო დაკიდებული, ტვინს საკმარისი სისხლი მიეწოდებოდა და გონს ბოლო მომენტამდე არ კარგავდა.

ცოცხლად გატყავება - ცოცხალ ადამიანს ნელნელა აცლიდნენ ტყავს. დასჯის ეს ფორმა ძირითადად გამოიყენეზოდა მოსახლეობის დასაშინებლად. დამნაშავის ტყავი ხალხმრავალ ადგილებში გამოიფინეოდა ხოლმე.

სისხლიანი არწივი - გავრცელებული იყო სკანდინავიის ქვეყნებში. დამნაშვის ნეკნებს გადაჭრიდნენ ხერხემალთან და გადმოაბრუნებდნენ ისე, რომ დამგვანებოდა ფრთებს. შემდეგ ჭრილობაში აყრიდნენ მარილს და ჭრილობიდან იღებდნენ დამნაშავის ფილტვებს.

ბორბალზე გაკვრა - რომელიც ასევე ცნობილია ეკატერინეს ბორბლის სახელით, შუა საუკუნებში გავრცელებული ერთ—ერთი ყველაზე სასტიკი მეთოდი იყო. ამ მეთოდას იყენებდნენ ძველ საბერძნეთში, შემდეგ საფრანგეთში, რუსეთში, გერმანიაში და შვედეთში. მსხვერპლს აკრავდნენ უზარმაზარ ხის ბორბალზე, შემდეგ კი ჯალათი სცემდა უროთი ან რკინის ჯოხით და ძვლებს უმტვრევდა.

ბოძზე დაწვა - ამ მეთოდით ხშირად სჯიდნენ პოლიტიკურ დამწაშავეებს ან ჯადოქრობაში ბრალდებულებს. მსხვერპლი მანამდე იღუპებოდა ვიდრე ბოლომდე დაიწვებოდა - მას კვამლი ახრჩობდა. ამ მეთოდით დასაჯეს ჯორდანო ბრუნო და ჟანა დარკი.

ბამბუკი - ნელი მტანჯველი სიკვდილი ელოდათ მათ, ვისაც ბამბუკით დასჯიდნენ. დამნაშავეს სვამდნენ ბამბუკის ნერგზე, ბამბუკი დღეღამეში ერთ ფუტამდე იზრდება სიმაღლეში. მცენარე აღწევს დამნაშავის სხულში, რაც რამოდენიმე დღეში მტანჯველ სიკვდილს იწვევს. ბირითადად იყენებდნენ ბველი აზიის ქვეყნებში.

Ling Chi - სიკვდილით დასჯის ფორმა ჩინეთში: ლინჩი - "ზღვის ქარიყლაპიას კბენა" ან "სიკვდილი ათასი ჭრილობისგან".

ლინჩის დროს დამნაშავეს სხეულიდან ჭრიდნენ ქსოვილის ნაჭრებს და გრძელდებოდა ეს პროცესი დიდი ხნის განმავლობაში. დასჯის ეს ფორმა იღბს საწყისს ჩინეთში, ცინის დინასტიის მმართველობის დროიდან. "სიკვდილს ათასი ჭრილობისაგან" იყენებდნენ შუა საუკუნეებიდან 1905 წლამდე. ეს დასჯა ხდებოდა დაშინების მიზნით. როგორც წესი, ლინჩი ხდებოდა მრავალ შეკრებილთა თვალწინ. ეს სასჯელი მიესჯებოდა დამნაშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოკლავდა მამას ან სახელმწიფოს უღალატებდა. ხდებოდა ისეც, რომ მსხვერპლს აძლევდნენ ოპიუმს. ასეთ შემთხვევაში, წამება დროში იწელებოდა. ოპიუმის მოქმედების გამო მსხვერპლი იწყებდა სიცილს და ტკივილის გრმნობა ნელდებოდა.

ლინჩი დააკანონეს მხოლოდ XII საუკუნეში, თუმცა გამოიყენებოდა გაცილებით ადრეული დროიდან. ჩინეთის იმპერატორის ცინ ში-ხუანის ქალიშვილები აწამეს ამ მეთოდით ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის ბოლოს. მოვიდა ახალი ხელისუფლება, მათ არ აწყობდათ, რომ წინა იმპერატორის გვარი გაგრძელებულიყო. ერთადერთი საიმედო გამოსავალი იყო სიკვდილი. მყისიერად მიიღეს გადაწყვეტილება, გამოეყვანათ ცინ ში-ხუანის ყველა ქალიშვილი მოედანზე, გაეშიშვლებინათ და მოეკლათ: "მიაბით ძელს და მოაჭერით ხელები და ფეხები".

დღეს ბევრი ჩანაწერი მოიპოვება ლინჩის შესახებ. მსჯავდებულს აშიშვლებდნენ, შემდეგ მიაბამდნენ ბოძს. ზოგი ჩანახატის მიხედვით, ყოველთვის არ უკრავდნენ ხელებსა და ფეხებს: ამას აკეთბდნენ სანახაობისთვის, რათა დამნაშვეს შეძლებოდა მათი მოძრაობა (სავარაუდოდ, მეტი ეფექტისთვის). როგორც კი მსხვერპლს დააბამდნენ, ორი ან სამი ჯალათი იწყებდა წამებისთვის მზადებას. გამოიყენებოდა დანები და ხერხი-დანები. დამნაშავეს უწევდა ამ ყველაფრის ყურება, როცა მას აჭრიდნენ ხორცის ნაჭრებს. როგორც წესი, სასამართლო განსაზღვრავდა მოჭრილ ნაჭერთა რაოდენობას. თუ სასამართლო დაადგენდა "20 ჭრილობას", მაშინ აუცილებელი იყო:

1 და 2 მოჭრა: ორივე წარბის მოჭრა;

3 და 4: ორივე დუნდულადან თითო ნაჭრის მოჭრა;

5 და 6: ორივე ძუძუს თავი და თითო ნაჭერი მკერდიდან;

7 და 8: ხელების მოჭრა მაჯამდე;

9 და 10: ხელების მოჭრა იდაყვამდე;

11 და 12: ფეხის ტერფების მოჭრა;

13 და 14: ფეხების მოჭრა მუხლებამდე;

15: მუცლის გახსნა;

16: ყელის გამოჭრა;

17 და 18: ხელების მოჭრა მთლიანად;

19 და 20: ფეხების მოჭრა მთლიანად.

ჭრილობისაგან ადამიანი კვდებოდა შუა ლინჩის დროს. ყველაზე რბილი სასჯელი იყო "8 ჭრილობა". სასამართლოს შეეძლო დაედგინა, რომ მსჯავდებულს გადაეტანა "36 ჭრილობიდან" "3000 ჭრილობამდე". ყველაზე დიდი რაოდენობა გამოიყენებოდა ყველაზე მძიმე შემთხვევებისთვის. ამისთვის მსხვერპლის სხეულს გარშემო შემოაკრავდნენ რკინის წვრილ ბადეს, მოუჭერდნენ და სხეულის ნაწილები "გამოდიოდა" "ბადის" ჭრილებიდან. ჯალათი იღებდა მაშებით ამ ნაწილებს და ჭრიდა. ამ სასჯელის დროს აძლევდნენ

მსჯავდებულს სუსტ გამაყუჩებელს. ხდებოდა ისეც, რომ დამწაშავე შეიძლებოდა შეეწყალებინათ და პირველივე დარტყმით კლავდნენ. მაგრამ მკვდარ სხეულს მაინც აქუცმაცებდნენ.

ელექტრო სკამი - პირველად იგი ამერიკაში გამოჩნდა 1888 წელს და რამოდენიმე შტატში ელექტო სკამი დღესდღეობითაც წარმოადგენს სასჯელის უმაღლეს ფორმას. ვირთხები - ეს მეთოდი გამოიყენებოდა ძველ ჩინეთში. ხელფეხშეკრულ დამნაშავეს მუცელზე რკინის ყუთს ადებდნენ, რომელშიც ვირთხები იყვნენ. შეშინებული ვირთხები, რომლებსაც გასაქცევი არასად ჰქონდათ, იწყებდნენ ადამიანის შიგნეულობის გამოხვრას.

საკვლევი კონცეპტის ასოციაციური სივრცის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ: ა. დანაშაულისა და სასჯელის კონცეპტთა ასოციაციური სივრცე შედგება ისეთი კვნაძებისაგან, როგორიცაა: 1. დანაშაული; 2. ძალადობა; 3. სასჯელი; 4. სამართალი; 5. კანონი.

ბ. თითოეული კვანძი ორდონიანია - მოიცავს ზედა და ქვედა დონის სეგმენტებს. ზედა დონის სეგმენტი წარმოადგენს ფენომენის არსის ინტერპრეტატორს და იძლევა პასუხს შემდეგ კითხვებზე: 1. რა არის დანაშაული; 2. რა არის სასჯელი? ბუნებრივია, ინტერპრეტაცია ვალიდურია მხოლოდ კონკრეტული დროისა და სივრცის ფარგლებში.

ქვედა დონის სეგმენტი მოიცავს ისეთ სპეციფიკაციებს, როგორიცაა: 1. დანაშაულის კატეგორია; 2. "ტოპოსი" - ადგილი (ქვეყანა); 3. "ქრონოსი" - დრო (ეპოქა); 4. აქსიოლოგიური ველი - თვალსაზრისი, იდეალები, შეხედულებები, პრინციპები; 5. სასჯელის ფორმა; 6. "ტოპოსი" - ადგილი (ქვეყანა); 7. "ქრონოსი" - დრო (ეპოქა); 8. აქსიოლოგიური ველი.

# 3.4. სქემა როგორც რეალური სამყაროს მოდელი

სქემა, როგორც რეალური სამყაროს მოდელი, ეფუძნება მონაცემთა ერთობლიობას. სქემა წარმოადგენს სტერეოტიპული სიტუაციის მოდელს (Bellezza & Bower /ბალეზა & ბაუერი, 1981. გვ. 1-4).

სქემა შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან. ყოველი კვანძი წარმოადგენს გარკვეულ ცნებას, რომელიც შეიძლება იყოს და არც იყოს წარმოდგენილი

ნათლად (Blezer /ბლეზერი, 1997. გვ. 102-108). ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი კონკრეტდება მისი კონკრეტულ სიტუაციასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით. ნაშრომში სქემათა ერთიან სისტემაში ინტეგრირებისათვის გამოყენებულია კლასტერული ანალიზი - კლასტერულ იერარქიულ "ხეში" ჩართულია როგორც ლექსიკური ერთეულები, ისე კონსტრუქტები (Charniak / ჩარნიაკი, 1975. გვ. 35-76). ცოდნა მეხსიერებაში წარმოადგენს არა ცალკეულ ფრაგმენტებს, არამედ გარკვეულ დაკავშირებულ სტრუქტურებს (Cullingford / კულინფორდი, 1978. გვ. 230). ცოდნის რეპრეზენტაციაზე ორიენტირებული სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს მეხსიერების კონცეპტუალური ორგანიზაცია - ერთგვარი განმაზოგადებელი სტრუქტურა, რომლის ფრაგმენტებს შორის შეიძლება იყოს დროითი, სივრცითი, სიტუაციური, ასოციაციური, ფუნქციონალური და ა.შ. ტიპის კავშირი (Fahlman / ფალმანი, 1979. გვ. 235 ), (Grant & Dagenbach /გრანტი & დეგენბახი, 2000. გვ. 69-94).

#### **CRIME**

#### Definition:

A (putative) Crime is committed and comes to the attention of the Authorities. In response, there is a Criminal\_investigation and (often) Arrest and criminal court proceedings. The Investigation, Arrest, and other parts of the Criminal\_Process are pursued in order to find a Suspect (who then may enter the Criminal\_process to become the Defendant) and determine if this Suspect matches the Perpetrator of the Crime, and also to determine if the Charges match the Crime. If the Suspect is deemed to have committed the Crime, then they are generally given some punishment commensurate with the Charges.

Core:

Authorities The group which is responsible for the maintenance of law and

order, and as such have been given the power to investigate Crimes, find Suspects and determine if a Suspect should be submitted to the

Criminal\_process.

Charge A description of a type of act that is not permissable according to the

law of society.

Crime An act, generally intentional, that matches the description that

belongs to an official Charge.

Perpetrator The individual that commits a Crime.

Suspect The individual which is under suspicion of having committed

the Crime.

არაცხადი ფორმის მქონე კვანძები - ტერმინალები - ქმნიან გრაფიკული სტრუქტურის ქვედა დონეს, ხოლო ზედა დონეზე განლაგებულია ცნებები, როემლიც ყოველთვის რელევანტურია "დანაშაულისათვის" (Hawkins / ჰოვკინსი, 2005).

#### **VIOLENCE**

#### Definition:

The words in this frame describe acts (or situations characterized by acts) that cause injury or harm.

The acts may involve an Aggressor or Cause injuring a Victim, or Aggressors causing each other

harm.

Research on whether concealed carry laws increase gun VIOLENCE among gang members has been inconclusive.

They committed BRUTALITY against innocent civilians.

The storm's VIOLENCE last week came without warning and caused unprecedented damage to costal regions.

Core:

Aggressor The Aggressor is the person causing the Victim's injury.

Your BRUTALITY on your enemies seems to know no boundaries.

Aggressors The Aggressors commit acts of violence upon each other.

Hope for a peaceful resoliton is gone as VIOLENCE between the two

sides reignites.

Cause The Cause marks expressions that indicate some non-intentional,

typically non-human, force that inflicts harm on the Victim

The storm's VIOLENCE left many lives in shambles.

Victim The Victim is the being or entity that is injured.

Increasing VIOLENCE against supporters of government reform have

attracted international attention.

Non-Core:

Circumstances Circumstances describe the state of the world (at a particular time

and place) which is specifically independent of the violent event and

any of its participants.

Containing\_event This FE identifies the event in which the harm is caused.

VIOLENCE in the standoff was unfortunate, but not unexpected.

Degree is the degree to which violence is done.

Our troops are working in conditions of extreme VIOLENCE.

Explanation A fact or action related to one of the participants in the volient act

that the Aggressor responds to in doing violence.

They are quick to VIOLENCE for petty reasons.

Frequency How often the violence occurs.

Residents by now are used to the daily VIOLENCE that plays out on

their streets.

Instrument This FE is any object used to cause the injury.

Instances of gun VIOLENCE will receive top priority from the police.

Iterations Iterations refer to the number of times the violent act occurs.

He committed BRUTALITY a dozen times over the past years.

Manner The Manner in which the Aggressor acts upon the Victim.

Acts of wanton VIOLENCE unconditionally deserve condemnation.

Means An intentional action performed by the Aggressor that results in the

committing of a violent act.

Place identifies the place where the violence occurs.

City leaders are troubled by recent surges in local VIOLENCE

Purpose Purpose identifies the purpose for which a harm-causing action is

carried out.

I would only commit VIOLENCE to protect myself.

Time identifies the time when the harm-causing event occurs.

Last week's VIOLENCE resulted in over three hundred injuries.

ნათლად წარმოდგენილ კვანძთა ერთობლიობა ქმნის სქემით წარმოდგენილი სიტუაციის "გაგების" საფუძველს. "გაგება" ხორციელდება ტერმინალების კონკრეტიზაციის, ასევე ტერმინალთა რეალურ სამყაროში არსებულ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით (Lakoff / ლაკოფი, 1972. გვ. 183-228).

# **ABUSING**

#### Definition:

In this frame an Abuser repeatedly treats the Victim in a cruel and violent way, including physically harming or forcing the Victim to engage in sexual activity against their will. The Victim usually lacks the power to resist or fight back. A Type of abuse may be indicated. There may also be a Degree. Her father verbally ABUSED her mother.

Core:

Abuser The Abuser subjects the Victim to repeated verbal, physical,

emotional or sexual attacks.

Fred ABUSED Martha by locking her into a closet.

Victim The Victim is the recipient of the Abuser's actions.

Fred ABUSED Martha by locking her into a closet.

Non-Core:

Circumstances Circumstances describe the state of the world (at a particular time

and place) which is specifically independent of the event itself and

any of its participants.

Degree is the extent to which the abuse occurs.

Fred ABUSED Martha alot.

Depictive This FE describes a participant of the state of affairs introduced by

the target as being in some state during the action. The depicted state does not necessarily or usually facilitate or cause the state of

affairs reported by the target.

Duration The amount of time that abuse occurs.

She had been BATTERED for years before she even knew there was

anything serious wrong.

Explanation The Explanation denotes a proposition from which the main clause

(headed by the target) logically follows. This often means that

the Explanation causes the target's proposition, but not in all cases.

Frequency How often abuse occurs.

She had been abused too much as a child to let it happen again.

Instrument An entity used by the Abuser to accomplish the abuse.

Look, being BATTERED with a mallet is no one's idea of a good time.

Manner is used for any description of the abuse event which is not

covered by more specific FEs, including secondary effects (quietly, loudly), and general descriptions comparing events (the same way).

In addition, it may indicate salient characteristics of an Abuser that also affect the action (presumptuously, coldly, deliberately, eagerly,

and carefully).

It is fair to say that it was malicious ABUSE.

Means This FE identifies the Means by which the Abuser accomplishes the

abuse.

Fred ABUSED Martha by locking her into a closet.

Period of iterations The length of time from when the Abusing event began to be

repeated to when it stopped.

Place This FE identifies the Place where the abuse occurs.

Purpose An action that the Abuser intends to accomplish by performing the

abuse.

They are ABUSIVE in order to get back at those who abused them.

Time This FE identifies the Time when the abuse occurs.

Type Type is used for the domain in which the Abuser mistreats

the Victim.

Fred is known for his emotional ABUSE of women.

უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს სხვადასხვა სქემის მიერ ერთი და იმავე ტერმინალების გამოყენება, რაც იძლევა სხვადასხვა წყაროდან მოძიებული ინფორმაციის კოორდინირების შესაძლებლობას (Lakoff / ლაკოფი, 1988, გვ. 477–508). ერთმანეთთან კავშირში მყოფი სქემები ერთიანდებიან სისტემაში, რომელთაც ძალუძთ ქმედების, მიზეზ-შედეგობირივი კავშირებისა და თვალსაზრისთა ცვლილებების ასახვა (Putnam / პუტნამი, 1975.გვ. 457).

#### CAUSE HARM

# Definition:

The words in this frame describe situations in which an Agent or a Cause injures a Victim.

The Body\_part of the Victim which is most directly affected may also be mentioned in the place of

the Victim. In such cases, the Victim is often indicated as a genitive modifier of the Body\_part, in which case the Victim FE is indicated on a second FE layer.

Rod saw his father BEATING his mother.

In the end Wormtongue is fed up with being beaten so he CUTS Saruman's throat to free himself.

A mother STABBED to death by her husband made a secret will stating that he must never be allowed to care for their son.

Core:

Agent is the person causing the Victim's injury.

Jolosa, who BROKE a rival player 's jaw, was told to model his play on

the England striker.

Someone BASHED him on the back of the head with a heavy smooth

object.

Claire McLaren, 16, was punched and KICKED senseless by a thug.

Body part The Body\_part identifies the location on the body where the bodily

injury takes place.

Someone BASHED him on the back of the head with a heavy smooth

object.

Jolosa, who BROKE a rival player 's jaw, was told to model his play on

the England striker.

Cause The Cause marks expressions that indicate some non-intentional,

typically non-human, force that inflicts harm on the Victim

A falling rock CRUSHED my ankle.

Victim The Victim is the being or entity that is injured. If the Victim is

included in the phrase indicating Body\_part, the Victim FE is tagged

on a second FE layer (see 3rd example).

Someone BASHED him on the back of the head with a heavy smooth

object.

The farmer tied him to the fence to stop him BUTTING the sheep.

Jolosa, who BROKE a rival player 's jaw, was told to model his play on

the England striker.

Non-Core:

Circumstances Circumstances describe the state of the world (at a particular time

and place) which is specifically independent of the Cause\_harm

event and any of its participants.

Concessive This FE signifies that the state of affairs expressed by the main clause

(containing the Cause\_harm event) occurs or holds, and something other than that state of affairs would be expected given the state of

affairs in the concessive clause.

Containing event This FE identifies the event in which the harm is caused.

Degree Degree is the degree to which the Agent causes harm to the Victim.

She wanted to SLAP him hard for his change of mood.

Fox spun around and SLAPPED him, harder than necessary.

Depictive Depictive identifies any Depictive phrase describing the actor of an

action.

Indeed, Henry V used to BURN them alive.

Duration Duration denotes the length of time from the beginning of the

Cause\_harm event to its end.

Explanation A fact or action somehow related to the Victim that

the Agent responds to by causing harm to the Victim.

She wanted to SLAP him hard for his change of mood.

She could easily have SLAPPED her for that remark.

Frequency How often the Cause\_harm event occurs.

Instrument This FE is any object used to cause the injury.

Someone BASHED him on the back of the head with a heavy smooth

object.

John BUTTED her in the chest with his head.

Iterations Iterations refers to the number of times the Agent causes harm to

the Victim.

Kim HIT Harold with the stick a dozen times.

he had SLAPPED his wife across the face a number of times.

Manner The Manner in which the Agent acts upon the Victim.

He violently SLAPPED his assailant.

Means An intentional action performed by the Agent that accomplishes the

action indicated by the target.

Rachael INJURED her friend by closing the car door on his left hand.

Particular iteration This FE indicates that the Cause\_harm event is conceived as

embedded within an iterated series of similar events or states.

Period of iterations The length of time from when the Cause\_harm event began to be

repeated to when it stopped.

Place Place where the harm causing event occurs.

Boys are PUNCHED at school for payback

Purpose Purpose identifies the purpose for which a harm-causing action is

carried out.

Re-encoding A description of the harm event which significantly displays a

different aspect.

Then she elbowed me -- a serious affront to my sensibilities!

Result identifies the result of the Agent's action.

Riot police in Nairobi CLUBBED four women unconscious on March 3.

A battered wife who BURNED her brutal husband to death was freed

from jail yesterday.

Claire McLaren, 16, was punched and KICKED senseless by a thug.

Subregion bodypart The Subregion\_bodypart defines the precise location on the

Body\_part which is harmed.

Martha's legs were CHOPPED off at the knees.

Time Time identifies the time when the harm-causing event occurs.

Riot police in Nairobi CLUBBED four women unconscious on March 3.

სქემა წარმოადგენს ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურასა და ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს (Talmy / ტალმი, 1977.გვ. 612-628.). ფრეიმი გააზრებულია როგორც მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ერთეული (Woods / ვუდსი, 1975. გვ. 35 – 82.), (Sowa / სოვა, 1984. გვ. 214 – 241).

#### **VICTIM**

# Definition:

An improvised explosive device, the Bomb, is placed so as to be hidden from view or disguised as something not harmful. It is rigged to detonate when triggered by actions of an intended Victim.

Possible triggering actions include stepping on a pressure-sensitive plate, activating a trip-wire, or moving an object which activates a spring-loaded device.

We hit a VOIED and the lead truck was destroyed.

Core:

Bomb The explosive device which activates when set off by the victim.

Victim The Victim inadvertantly causes the Bomb to denotate.

Non-Core:

Bomber The person who sets the bomb.

Creator The individual or group responsible for the creation of the Bomb.

Descriptor A description or characteristic of the Bomb.

Material The substance that makes up the Bomb.

Name The term used to refer to a Bomb.

Part This FE identifies a part of the Bomb. This includes permanent,

obligatory parts and mere attachments.

Time of creation The time at which the Bomb comes into existence.

Type This FE indicates what subtype the Bomb belongs to.

Use The type of activity that the Bomb is generally involved in. Often this

can be considered a kind of Type specification also.

სქემა წარმოადგენს სტერეოტიპული აღქმის რეპრეზენტაციისათვის საჭირო კონსტრუქტს, რომელიც იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მრავალფეროვანი ცოდნის გამოსახვის შესაძლებლობას (Langacker, Fuchs, Victorri, Benjamins/ლანგაკერი, ფუჩსი, ვიქტორი, ბენჯამინსი, 1994. გვ. 9–20). სემანტიკური ფრეიმები ქმნიან მთლიანობას, რომელიც განიხილება ცოდნის ერთგვარ მატრიცად.

# WANT SUSPECT

Definition:

A Suspect has been investigated and has a warrant issued for his or her arrest on certain Charges. Bill is WANTED on murder charges.

Core:

Suspect The Suspect is suspected of having committed a crime by the

authorities who want the Suspect to enter the criminal process.

Non-Core:

Charges The Charges are the offenses the Suspect will be accused of

committing.

